# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 31 მაისი, 2012 წელი.

№102 (6978)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მე ისეთ ქართველს რა ვუთხარ...



„პირდაპირ გეტყვით, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გაყალბებული ატესტატები დაურიგდათ“ 5

## დემოკრატია დასავლეთისთვის მიზანია თუ უბრალოდ ვალდებულება? 3

## 30, 100 თუ 200 ათასი?



4

მაინც რამდენი მომიტინგეა საჭირო, რომ ხელისუფლებამ „სარკეში“ ჩაიხედოს?

## „წარმატებული“ საქართველოს დამოუკიდებლობის ზეიმი 6



## ბონდო შალიკიანი შალვა ნათელაშვილს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს 6

## ბელადი და ეპოქა 8-9



## ასეთ ცდას მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს...

ისევ ფესტოს დისკოს მცდარი წაკითხვის გამო 7



როგორც ერთ-ერთი სააგენტო იტყობინება

# პატრიარქის უარი...



**ქუთაისში 26 მაისს, პარლამენტის ახალი შენობის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შვედეთში ჩააკითხა, სთხოვა საქართველოში 26 მაისამდე დაბრუნებულიყო და პარლამენტის ახალი შენობა ეკურთხებინა, რაზეც უარი მიიღო. ამით განაწყენებულმა სააკაშვილმა დარდის განსაქარვებლად რამდენიმე ჭიქა სასმელი მიირთვა, რამაც მისი ჯანმრთელობის დროებით მოშლა გამოიწვია.**

**ეს ინფორმაცია presage.tv-მ ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროსგან შეიტყო და საპატრიარქოში გადაამოწმა. ამ ეტაპზე დადასტურებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ მისი უწმინდესობა ნამდვილად შვედეთში იმყოფებოდა — პატრიარქი და მისი თანხმლები პირები პარიზიდან შვედეთში გაემგზავრნენ ფონდ "იავნანას" ორგანიზებით გამართული საქველმოქმედო კონცერტის მეორე დღეს და 30 მაისს, საღამოს, საქართველოში სწორედ შვედეთიდან დაბრუნდნენ.**

**რაც შეეხება სააკაშვილის შვედეთში ჩასვლის შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციას, ამას საპატრიარქოში, არც ადასტურებენ და არც უარყოფენ.**

* * *

შეგახსენებთ, რომ პარიზში 19 მაისს, „სოლ პლეიელის“ საკონცერტო დარბაზში ფონდ „იავნანას“ ორგანიზებით საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. კონცერტზე ქართველი კომპოზიტორების ცნობილი ნაწარმოებები შეასრულეს: თამარ გვერდწითელმა, პაატა ბურჭულაძემ, სოფო ნიჟარაძემ, ანიტა რაჭველიშვილმა, ბადრი მაისურაძემ და თეონა დვალმა.

კონცერტზე პატრიარქის საგალობლის „SUNCTUS“ („წმინდა არს“-ქ პრემიერაც შედგა, რომელიც მარიამ როინიშვილმა, ანიტა რაჭველიშვილმა, პაატა ბურჭულაძემ და ბადრი მაისურაძემ შეასრულეს.

„საუკეთესო გუნდისა და შემსრულებლისთვის საქართველოს საპატრიარქომ 10 ათასი ევროს ოდენობის პრემია დააწესა“, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პარიზში გამართული საქველმოქმედო კონცერტის დასრულების შემდეგ განაცხადა:

„ქართული სიმღერა, ქართული საგალობელი უნიკალურია მსოფლიოში. ჩვენი სურვილი იყო და არის, რომ ეს უნიკალური სიმღერის ჰანგები გავაცნოთ ევროპას და მთელ მსოფლიოს. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყოველ წელიწადს გამორჩეულ გუნდს თუ ადამიანს, მიენიჭოს საქართველოს საპატრიარქოს პრემია 10 ათასი ევროს ოდენობით. მივიღეთ გადაწყვეტილება, 14 მაისს დაწესდეს ქართული სიმღერისა და გალობის დღესასწაული“.

„იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხით ხარიტონაშვილების რვასულიან ოჯახს ბინა გადაეცა.

კონცერტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეც ესწრებოდა.

presage.tv



სარედაქციო ფოსტიდან

## ხალხო, თავხელიძეების, ჩოლოყაშვილებისა და თუთბერიძეების ხელში დემოკრატია არ აშენდება!..

**არ მინდა დაჯერება, მაგრამ ხან ისე მგონია, რომ „მაესტროც“ და „კავკასიაც“ ჩვენს ჯიბრზე, ხალხის ჯიბრზე იწვევს სტუდიაში ისეთ ოდიოზურ პიროვნებებს, როგორიც თავხელიძე, ჩოლოყაშვილი, თუთბერიძე და ამათნაირნი არიან... რათა ეს თითქოს ჩვენს ჯიბრზე მოწვეულნი ასევე ჩვენს ჯიბრზე ალაპარაკონ და მოგვშალონ, დაგვანგრიონ, ზოგ უკიდურეს შემთხვევაში კი ეკრანის დამსხვრევაც გვაფიქრებინონ პულტის საშუალებით...**

**მიკვირს და გამკვირვებია, ნეტავი იმდენს რას უხდის, რამდენს უხდის ეს ხელისუფლება ამ სალლოგიკადაკარგულებს, რომ ასე გაელმებული თვალებით უყურებენ ჩვენს დუხჭირ სინამდვილეს და, როგორც პოლიტიკური დალტონიკები, ერთ ფერს მეორისგან ვერ არჩევენ.**

**როგორც ჩანს, კარგად უხდიან, იმდენად კარგად, რომ მხოლოდ მწვანე ფერის დანახვის უნარიღა აქვთ შერჩენილი. აბა, სხვანაირად რით უნდა ავხსნათ ის ერთფეროვანი ხედვა, რაც აგრერიგად განარჩევს ჩვენგან თითოეულ იმათგანს... თითქმის ყველა ჭკუათმყოფელმა დაინახა, რომ 27 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე ხალხის ტევა არ იყო, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. და არა მარტო მოედანზე, ხალხი ზიმზიმებდა აგრეთვე მოედნიდან განშტოებულ ყველა ქუჩაზე... მაგრამ ეს ხალხი შეკრებილი იყო არა რომელიმე ამერიკელი დიდმოხელის თბილისში სტუმრობის გამო, არამედ „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერად. ამიტომ პირველ შემთხვევაში (როგორც 2005 წელს პრეზიდენტ ბუშის სტუმრობისას) აუცილებლად 150 ათასი კაცი იქნებოდა (ასეც დათვალეს მაშინ!), ხოლო ახლა, როცა თითქმის ყოველი მეორე თუ არა მეოთხე და მეხუთე თბილისელი მაინც იყო გამოსული, თავხელიძეების, ჩოლოყაშვილებისა და თუთბერიძეების ვიწრო თვალით დათვლილი მხოლოდ 30 ათასი კაცი თუ იდგა, ისიც ჩრდილში, რადგან მზიანი ადგილები თურმე ცარიელი ყოფილა!..**

**სირცხვილია, ბატონებო, ძალით და ასე ნაადრევად რატომ იბრმავებთ თვალებს! ნუთუ თქვენს დასაცავად გაუხდა საქმე ვაირეფორმათა კორიანტელის დამყენებელ ჩვენს პრეზიდენტს, რომელსაც თავისი პირველკაცობის გახანგრძლივება კიდევ ორი ვადით გადაუწყვეტია, და თქვენც, პრეზიდენტის ფეხის ხმას აყოლილთ, სწორი თვლისა და ანგარიშის უნარი დაგკარგვიათ!..**

**თქვენ რა, ასე აპირებთ საქართველოში ჭეშმარიტი დემოკრატიის აშენებას?! ცხოვრებაგამტკბარი პრეზიდენტისა არ იყოს, ნუთუ თქვენც გასინგაპურებულ საქართველოში მოგნატრებიათ ცხოვრება?! მაღლა ამოდით, ბატონებო, ხალხთან მოდით, როდემდე უნდა გველაპარაკოთ მაგ ქერის ორმოდან?!**

**როგორც იტყვიან, დროზე მოეგეთ გონს, ხვალ ნამდვილად გვიან იქნება!.. სულის გაყიდვა კარგად არცროდის დამთავრებულა!..**

ჯუმბერ ნიქაბაძე,
ქ. რუსთავი.

განცხადებები

## პოლიტიკური ისტერიკა და ეროვნული გამოცდები

**გამოცდების** ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ქ-ნ მაია მიმინოშვილის გათავისუფლება თანამდებობიდან კარს მომდგარი ეროვნული გამოცდების წინ პირდაპირი დადასატურებაა იმ მარაზმისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების სრული კოლაფსისა, რომელიც სახელისუფლებო წრეებშია გამეფებული.

მაია მიმინოშვილმა წლების განმავლობაში დაამტკიცა თავისი მაღალი კომპეტენცია, პროფესიონალიზმი და პრინციპულობა. სხვა რა უნდა მოეთხოვებოდეს სახელმწიფო მოხელეს დემოკრატიულ და თავისუფალ საზოგადოებაში? ცხადია, არაფერი, მაგრამ ერთპარტიული და ერთპიროვნული მმართველობის პირობებში საჯარო მოსამსახურეს ევალება უსიტყვო მორჩილება, უფრო მეტიც, მათი ოჯახის წევრებსაც ეკრძალებათ თავისუფალი აზროვნება და თავისუფალი ნების გამოხატვა. ეს დასჯადი ქმედება იყო საბჭოთა სინამდვილეში და ასევე დასჯადია სააკაშვილის ნეობოლშევიკური რეჟიმის პირობებშიც. განა ვინმესთვის გასაკვირი იქნება, თუ გაირკვევა, რომ მიმინოშვილის გათავისუფლება უკავშირდება მისი შვილის მონაწილეობას „ქართული ოცნების“ აქციაში, ან მისი ძმის მიერ გაცხადებულ პოლიტიკურ სიმპათიას?

ნათელია, რომ, თუკი ამას ვიწროპარტიული საჭიროება მოითხოვს, ბოლშევიკური კლიშეებით მოაზროვნე და სუკის მეთოდებით მოქმედი ხელისუფლება მზადაა, თვით ის იშვიათი სეგმენტებიც კი დაანგროს, სადაც პროგრესი აშკარაა. თუმცა, როგორც ჩანს, ისტერიით მოცული სააკაშვილი საკუთარი პარტიის ინტერესებსაც არად აგდებს, რადგან ძალიან საეჭვოა ასეთი უსამართლო, უჭკუო და ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება წაადგეს საარჩევნო მარათონში ჩართული ნაცმოძრაობის რეიტინგს.

გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საზოგადოებას პრინციპულობისა და ადამიანური ღირსების მაგალითი უჩვენეს, როდესაც პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ მაია მიმინოშვილითან ერთად, პროტესტის ნიშნად, დატოვეს სამსახური. სწორედ ასეთი ადამიანები ქმნიან ქვეყანაში მორალურ უმრავლესობას. ღრმად გვწამს, რომ საქართველოში გამეფებული ამორალობის, კონფორმიზმისა და ძალმომრეობის ატმოსფეროს მხოლოდ მორალური ძალა დაამარცხებს.

„ქართული აკადემია“
28 მაისი. 2012.

## თანადგომას უცხადებენ

ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „ფონდი ქომაგის“ გამგეობის თავმჯდომარე ია მეტრეველი ღრმა პატივისცემით მიმართავს ქალბატონ მაია მიმინოშვილსა და ერთიანი ეროვნული გამოცდების რესურსცენტრის ყველა იმ თანამშრომელს, რომლებმაც გამოიჩინეს პრინციპულობა და წინ აღუდგნენ უსამართლობას.

„ფონდი ქომაგი“ მათ თანადგომას უცხადებს და სოლიდარობის ნიშნად მზადყოფნას გამოთქვამს აღნიშნულ პირებს სათანადო დახმარება გაუწიოს.

ინფორმაცია

## ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილება უკვე ძალაშია

**პარლამენტის მიერ გასულ კვირას მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა და საკანონმდებლო მაცნეშიც გამოქვეყნდა.**

კონსტიტუციას დამატებული ახალი მუხლის მიხედვით, 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ამ მუხლის ამოქმედების მომენტისთვის აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

ამ წესით არჩეულ პირებს შეეძლებათ, დაიკავონ პარლამენტის თავმჯდომარის, პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის თანამდებობებიც.

ამასთან, რამდენიმე დღის წინათ კოალიცია „ქართული ოცნების„ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტს ღია წერილით მიმართა და სთხოვა, არ მოეწერა ხელი ამ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ივანიშვილი აცხადებდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა.

## შსს ინფორმაციისთვის 10000-ლარიან ჯილდოს აწესებს

**შინაგან საქმეთა სამინისტრო „ქართული ოცნების“ ხობის რაიონული შტაბის ხელმძღვანელის მამუკა ქარდავას ცემაში ეჭვმიტანილი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის 10 000 ლარის ოდენობის ჯილდოს აწესებს. ამის შესახებ განცხადებას შსს ავრცელებს.**

— შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს ხობის პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ა/წ 20 მაისს მოქალაქე მამუკა ქარდავას ცემის ფაქტზე. მისი განცხადებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მას მიაყენეს მისთვის უცნობმა პირებმა. შინაგან საქმეთა სამინისტრო აწესებს ჯილდოს 10 000 ლარის ოდენებით იმ მოქალაქისთვის, ვინც გამოძიებას მიაწოდებს ღირებულ ინფორმაციას, აღნიშნულ დანაშაულში მონაწილე პირების ვინაობის დადგენის მიზნით, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, ანონიმურობა გარანტირებული იქნება.

## მაია მიმინოშვილი პოლიციის აკადემიის რექტორმა შეცვალა

**გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე მაია მიმინოშვილი პოლიციის აკადემიის უკვე ყოფილმა რექტორმა ხატია დეკანოიძემ შეცვალა. განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა დეკანოიძე გუშინ განათლების სამინისტროში წარადგინა.**

— ჩემი აზრით, ხატია დეკანოიძე არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კანდიდატურა ამ თანამდებობისთვის. ესაა ადამიანი, რომელმაც მიიღო უმნიშვნელოვანესი მონაწილეობა იმ რეფორმებში, რომელიც გატარდა საქართველოში და ადამიანი, რომელიც სარგებლობს ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი ნდობით, — აცხადებს დიმიტრი შაშკინი.

ინტერპრესნიუსი

## უცხოური პრესიდან

# დემოკრატია დასავლეთისთვის მიზანია თუ უბრალოდ ვალდებულება?

**წინამდებარე წერილი 21 მაისს გამოქვეყნდა ლონდონურ ინტერნეტ-ჟურნალში „Open Democracy“. წერილის მიმართ ქართველი მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ მის ქართულ ვერსიას რომელიც ავტორმა მოგვაწოდა.**

თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებულია აზრი, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესების ხელშეწყობა დასავლეთისთვის უმთავრესი მიზანია. ეს განპირობებულია იმით, რომ დასავლეთი, კერძოდ, აშშ და ევროკავშირი, არა მარტო თავად იძლევა სახელმწიფოს დამოკრატიული მოწყობის სანიმუშო მაგალითებს, არამედ იმითაც, რომ დასავლეთს საჯაროდ აქვს დეკლარირებული დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების პრიორიტეტულობა მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში.

მაგრამ ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები ცხადყოფენ, რომ დემოკრატიზაციის ხელშეწყობა სულაც არ არის დასავლეთის უმთავრესი მიზანი – მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყანაში პროდასავლური ორიენტაციის მქონე მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლა და მისი მხარდაჭერა (პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური). თანაც პროდასავლურ ორიენტაციაში სულაც არ იგულისხმება დასავლეთში აღიარებული და დამკვიდრებული დემოკრატიული ფასეულობების გაზიარება. პროდასავლურ ორიენტაციაში, როგორც წესი, იგულისხმება დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მხარდაჭერა მოცემულ ქვეყანასა და ამ ქვეყნის მიმდებარე რეგიონში. საყურადღებოა, რომ დასავლეთისთვის სულაც არ არის მიუღებელი ამა თუ იმ ქვეყნის ავტორიტარულ რეჟიმებთან (რომ არაფერი ვთქვათ დიქტატორებზე) თანამშრომლობა. ბოლო წლებში ამის თვალსაჩინო მაგალითებია აშშ-ის „თბილი“ ურთიერთობები ჰოსნი მუბარაქის ეგვიპტესთან, საფრანგეთისა – ბენ ალის ტუნისთან, ან იტალიისა – მუამარ კადაფის ლიბიასთან.

თუ კი არადემოკრატიული რეჟიმები არ არიან ხსენებული კუთხით პროდასავლურები, მაგრამ სათავეში შედარებით დიდ სახელმწიფოებს უდგანან და, ამდენად, საერთაშორისო არენაზე ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ, მაშინ დასავლეთი ცდილობს ამ რეჟიმებთან ლოიალური ურთიერთობის შენარჩუნებას. თანაც ამ ქვეყნებში დემოკრატიზაციის გაღრმავებაზე დასავლეთის მოწოდებები უფრო რიტუალური ხასიათისაა, ვიდრე რაიმე რეალურ შედეგზე ორიენტირებული. დასავლეთისათვის ამ ტიპის ქვეყნების თვალსაჩინო მაგალითებია ჩინეთი და რუსეთი. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი დასავლეთის დემოკრატიული მთავრობების ლიდერების მხრიდან ვლადიმერ პუტინისათვის მისი მესამე ვადით გაპრეზიდენტების მილოცვა და ამით მისთვის მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება.

ის არადემოკრატიული რეჟიმები, რომლებმაც მეტნაკლებად კარგად იციან, რომ დასავლეთისთვის პროდასავლურობის ქვეშ დემოკრატიული პროცესების გაძლიერება სულაც არ არის გადამწყვეტი, ცდილობენ, დააკმაყოფილონ დასავლეთის უმთავრესი ინტერესები საკუთარ ქვეყნებსა და მიმდებარე რეგიონში, და ხელი შეუწყონ ამ ინტერესების მეტ-ნაკლებად შეუფერხებელ რეალიზაციას.

### „დემოკრატიზაცია“: გამარჯვებულის მხარდაჭერის პროცესი

**„არაბულმა გაზაფხულმა“ ყველას ერთი მეტად საინტერესო გაკვეთილი მოგვცა. იმის მიუხედავად, რომ მმართველი არადემოკრატიული რეჟიმები დასავლეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ, როგორც კი ხალხის მზარდი საპროტესტო მუხტი შეუქცევადი გახდა, დასავლელი ლიდერები იძულებული შეიქმნენ, ამ რეჟიმებისათვის ზურგი შეექციათ და ხალხის მხარეზე გადასულიყვნენ. თუმცა საპროტესტო გამოსვლების დასაწყისში არც პარიზი ჩქარობდა ბენ ალისთვის ზურგის შექცევას, და არც ვაშინგტონი – ჰოსნი მუბარაქისთვის.**

არაბულ ქვეყნებში მასობრივმა საპროტესტო აქციებმა დასავლეთი აიძულა, დემოკრატია, როგორც ასეთი, გახსენებოდა, რადგანაც დასავლეთს დემოკრატია თავისთვის უმთავრეს ფასეულებად აქვს აღიარებული. ეს კი გვაიძულებს, გავაკეთოთ დასკვნა, რომ დასავლეთისთვის დემოკრატია არა მიზანი, არამედ ვალდებულებაა.


openDemocracy
free thinking for the world

Published on *openDemocracy* (http://www.opendemocracy.net)

Home > Democracy: a goal or a merely a commitment for the West?

**Democracy: a goal or a merely a commitment for the West?**

Vladimer Papava, 21st May 2012
**Subjects:** oD Russia [1] oD Russia [2] Democracy and government [3] Georgia [4] russia & eurasia [5] russia [6] democracy & power [7] Politics [8] Foreign [9] Vladimer Papava [10]

The 2003 Rose Revolution in Georgia heralded a rebirth of democracy and alignment with Western countries, especially the United States. But continuing Western support in the face of the gradual unravelling of Georgian democracy compels Vladimer Papava to wonder if Western support is perhaps not all it originally seemed to be.

მაშასადამე, თუ პროდასავლურმა, მაგრამ არადემოკრატიულმა, რეჟიმმა მოახერხა მმართველობის ისე შენარჩუნება, რომ საპროტესტო აქციები საერთოდ არ არის, ან მცირერიცხოვანი და ხანმოკლეა, მაშინ დასავლეთისათვის შესაბამის ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა სულაც არ არის პრიორიტეტული. მაგრამ, თუ ხალხს აღარ შეუძლია აიტანოს ესა თუ ის არადემოკრატიული რეჟიმი და გამოხატავს მზარდ მზადყოფნას ამ რეჟიმის დასამხობად, მაშინ დასავლეთს ახსენდება თავისი უმთავრესი ვალდებულება და დგება ამ ამბოხებული ხალხის გვერდზე დემოკრატიის მხარდსაჭერად.

„არაბული გაზაფხული“ წესით დასავლეთისათვის უნდა გამხდარიყო ის გაკვეთილი, რომლის დავიწყებაც დიდი შეცდომაა. კერძოდ, დასვლეთისთვის დემოკრატიის ხელშეწყობის ვალდებულება უნდა პრევალირებდეს „ბრმა პროდასავლურობას“ (როცა არადემოკრატიული რეჟიმები დასავლეთისსავე მხარდაჭერით ძლიერდებიან მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურებიან). ამისთვის კი საჭიროა, რომ დიამეტრალურად შეიცვალოს „პროდასავლურობის“ განსაზღვრის კრიტერიუმი. კონკრეტულად, „პროდასავლურად“ მხოლოდ ის მთავრობები უნდა ჩაითვალონ, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ დემოკრატიული ღირებებულებების იმპლემენტაციას, დემოკრატიზაციის პროცესის შეუქცევად გაძლიერებას.

### არჩევნები საქართველოში: დასავლეთის მორიგი გამოცდა დემოკრატიაში

**ის, გახდა თუ არა „არაბული გაზაფხული“ დასავლეთისათვის ჭკუისასწავლი გაკვეთილი, სულ მალე უნდა გახდეს ცნობილი პოსტკომუნისტური საქართველოს მაგალითზე, რადგანაც 2012 წლის შემოდგომაზე კავკასიის ამ ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს.**

2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციით“ ხელისუფლებაში მოსული დემოკრატიული იმიჯის მქონე მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის არადემოკრატიულობა უკვე ოთხი წლის თავზე გამოჩნდა, როდესაც მისმა მთავრობამ 2007 წლის 7 ნოემბერს სასტიკად დაარბია საპროტესტო აქცია. სააკაშვილის რეჟიმის ავტორიტარული ხასიათი სულ უფრო მეტად იკვეთებოდა ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევებით, საკუთრების უფლების უხეში ხელყოფის არაერთი შემთხვევით, მთავრობისადმი სასამართლოს დამორჩილებით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით, თუმცა დასავლეთი ამ ფაქტებზე უფრო მნიშვნელოვნად იმას თვლიდა, რომ საქართველოს ლიდერი ყველანაირად ცდილობდა, ყოფილიყო დასავლეთის (უფრო ზუსტად, აშშ-ის) ფორპოსტი კავკასიაში. მიხეილ სააკაშვილი კი ყველანაირად ცდილობდა, აშშ-სათვის დაემტკიცებინა თავისი ერთგულება. ამისათვის საქართველომ თავისი სამხედრო კონტინგენტი გააგზავნა ერაყსა და ავღანეთში, ხოლო ამ უკანასკნელში საქართველოს სამხედრო წარმომადგენლობა ყველაზე დიდია ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალების (ISAF-ის) შემადგენლობაში მონაწილეობენ. პრეზიდენტ სააკაშვილს მისი პროდასავლური იმიჯის გაძლიერებაში დიდ სამსახურს უწევენ სხვადასხვა ცნობილი ლობისტური კომპანიები.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთისთვის და განსაკუთრებით, აშშ-სათვის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ირანთან მეზობლად მყოფი სახელმწოფოების აშკარად პროდასავლურ მთავრობებს, რასაც ასევე შესანიშნავად იყენებს ბ-ნი სააკაშვილი თავისი რეჟიმის განსამტკიცებლად.

2013 წელს მიხეილ სააკაშვილს უმთავრდება მეორე საპრეზიდენტო ვადა. იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ქვეყნის ლიდერის პოსტი, მისი ინიციატივით საქართველოში შეიცვალა კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც 2013 წლიდან ქვეყნის პირველი პირი ხდება პრემიერ-მინისტრი, რომელიც უნდა აირჩიოს პარლამენტმა და რომელსაც დროში არანაირი შეზღუდვა არ ექნება. მიხეილ სააკაშვილისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მისმა პარტიამ – „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიგოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, რაც მას მისცემს შესაძლებლობას, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ უპრობლემოდ გადაინაცვლოს პრემიერ-მინისტრის სავარძელში.

**სწორედ საქართველოში უნდა ჩააბაროს დასავლეთმა მორიგი გამოცდა: რა არის მისთვის უფრო მთავარი – მიზანი „პროდასავლური“ სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება, თუ რეალური ვალდებულება, დაიცვას დემოკრატიის უმთავრესი პრინციპები, არ გააყალბებინოს ბ-ნ სააკაშვილს მომავალი არჩევნები და არ დაელოდოს მარავალრიცხოვანი და ხანგრძლივი საპროტესტო აქციების დაწყებას.**

**იმას, თუ რა არჩევანს გააკეთებს დასავლეთი მიზანსა და ვალდებულებას შორის, დრო აჩვენებს.**

**ვლადიმერ პაპავა,**
პროფესორი

## ინფორმაცია

# კონტროლის პალატამ ბიძინა გიორგობიანი 900 ათასი ევროთი დააჯარიმა

**კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ბიძინა გიორგობიანი ფონდ „ქომაგის“ ანგარიშეზე განხორციელებული შემოწირულობის ათმაგი ოდენობით დააჯარიმა. როგორც ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა კონტროლის პალატაში 28 მაისს იყო დანიშნული.**



**– სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად არც სამართალდამრღვევი და არც მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდა. ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულად უზრუნველყო სამართალდამრღვევისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაცია და მხარის გამოუცხადებლობას საქმის განხილვა არ დაუბრკოლებია. შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმის განხილვის სხდომა ჩატარდა სამართალდამრღვევის მონაწილეობის გარეშე და ბიძინა გიორგობიანი მის მიერ ააიპ ფონდ „ქომაგის“ ანგარიშზე განხორციელებული უკანონო შემოწირულობის ათმაგი ოდენობით დაჯარიმდა, – ნათქვამია განცხადებაში.**

**ბიძინა გიორგობიანისთვის კონტროლის პალატის მიერ ჯარიმის დაკისრება მოულოდნელი არ ყოფილა.**

**როგორც გიორგობიანმა განაცხადა, უმჯობესი იქნებოდა ასმაგი ოდენობით დაეჯარიმებინათ, რადგან „საქართველოს ბიუჯეტს უჭირს“. მისივე განმარტებით, ცნობა ჯარიმის შესახებ კონტროლის პალატისგან არ მიუღია.**

**– მათ ფაქტობრივად მიიტაცეს ის თანხა, რომელიც პატიმრებისთვის, მათი ოჯახებისა და სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანებისთვის გვინდოდა შეგვეწირა. როგორ უნდა ამოიღონ ეს ჯარიმა, არ ვიცი. მე გერმანიის მოქალაქე ვარ, შემოწირულობა განახორციელა გერმანულმა საქველმოქმედო ფონდმა, რომლის აღმასრულებელი დირექტორიც ვარ მე. ეს არ არის ჩემი პირადი ფული. სხვაგვარად როგორ უნდა განვმარტო ეს, არ მესმის, – აღნიშნა ბიძინა გიორგობიანმა.**

**მისივე შეფასებით, ეს ყველაფერი „აბსურდის თეატრია“, რომელიც დიდხანს ვერ გაგრძელდება.**



**– ჩვენ სამართალს მივაღწევთ სასამართლოს გზით, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. ჯარიმა ჯერ ძალაში ვერ შევა, მათ ჯერ სამართლებრივი პროცედურები უნდა გაიარონ. ერთპიროვნულად წყვეტს მოგელაძე ვინ უნდა დააჯარიმოს და ვინ არა?, – განაცხადა გიორგობიანმა.**

**მისივე განმარტებით, 2005 წლის 17 მარტიდან საქართველოში აღარ ცხოვრობს, მისი ოფიციალური მისამართი ბერლინში კი ცნობილია როგორც გერმანიაში საქართველოს საელჩოსთვის, ისე საქართველოში გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის.**

ინტერპრესი

◉ აქციის ექო

# 30, 100 თუ 200 ათასი?

**„ქართული ოცნების“ 27 მაისის აქციაში უამრავმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. აქციის მონაწილეების რაოდენობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ თავისუფლების მოედანზე 200 ათასამდე კაცი იყო მისული. ხელისუფლების წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ აქციის მონაწილეთა რაოდენობა 40 ათასს არ აღემატებოდა. საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სპეციალური პროგრამა „Google map“-ით დათვალა აქციის მონაწილეთა ოდენობა და 110 ათასი მიიღო.**

თავისთავად მიუღებლია აქციის მონაწილეების რაოდენობაზე ასეთი სპეკულაციები, რადგან ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში ქუჩაში პროტესტის გამოსახატად გამოსული თუნდაც 50 ადამიანის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული. საქართველოში კი რამდენი ადამიანიც არ უნდა გამოიყვანოს ოპოზიციამ, ხელისუფლებას მათი ოდენობა სულ ეცოტავება. საინტერესოა, რამდენი ადამიანი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, რომ ხელისუფლება მათი პოზიციით დაინტერესდეს? აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითოეული მიტინგზე გამოსული ადამიანის უკან მისი ოჯახი დგას, რომელიც ძირითადად, ხშირად, ერთ პოლიტიკურ პოზიციაზეა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ძალიან მრავალრიცხოვანი საპროტესტო კონტინგენტი, რომელიც არასოდეს დადის მიტინგებზე, მაგრამ არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილოა და პოტენციურად „ქართული ოცნების“ ამომრჩეველია, ანუ ე.წ. „ტელევიზორთან მჯდომი“ ამომრჩეველი, რომელიც მოვლენებს სახლიდან აკვირდება.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ უკანასკნელ წლებში საპროტესტო აქციებზე ძირითადად რევოლუციურად განწყობილი ადამიანები დადიან და როგორც წესი, ოპოზიციის მხრიდან დაპირებაც ასეთია ხოლმე — „დღეს ჩვენ დავამთავრებთ სააკაშვილის ხელისუფლებას“, ან „რამდენიმე დღეში დავამთავრებთ სააკაშვილის რეჟიმს“ და ა.შ. ხოლო როდესაც გაირკვევა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია, ამას შედეგად მოსდევს მიტინგზე მისული ადამიანების იმედგაცრუება და ოპოზიციისადმი რწმენის დაკარგვა. ამ აქციაზე კი ადამიანები მისულები იყვნენ არა „მიშა მოვდივარ“-ს ძახილით და არა იმისთვის, რომ ვინმე სადმე შევარდნილიყო, არამედ ეს იყო წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილის მოსახლეობასთან შეხვედრა.

**ამ აქციასთან დაკავშირებით არავის ჰქონდა მოლოდინი, რომ იმ დღესვე რამე გადაწყდებოდა ან შეიცვლებოდა. ამდენად, აქ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მოსახლეობა იყო მოსული, რომელმაც უბრალოდ თავისი პოზიცია დააფიქსირა და ყოველგვარი იმედგაცრუების გარეშე სახლებში წავიდა.**

„ქართული ოცნების“ მხრიდან კი ეს აქცია ერთგვარად ძალის დემონსტრირება იყო.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენი ადამიანი იყო აქციაზე, როგორც მოგახსენეთ, მოსაზრებები სხვადასხვანაირია. ამ თემაზე presage.tv-სთან საუბარში ძალიან საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მცხეთა-მთიანეთის ყოფილმა გუბერნატორმა ვასილ მალაფერიძემ. **მან მოგვაწოდა ფოტო, რომელიც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის დროს თავისუფლების მოედანზე არის გადაღებული. აქ კარგად ჩანს, რომ ხალხი მოედანზე არის შეკრებილი და აქციის მონაწილეთა კუდები პუშკინის ქუჩისა და რუსთაველის გამზირისკენ არის მიმართული, მაგრამ მალევე მთავრდება („ქართული ოცნების? აქციაზე კი რუსთაველის გამზირი პრაქტიკულად სავსე იყო მომიტინგეებით).**



## მაინც რამდენი მომიტინგეა საჭირო, რომ ხელისუფლებამ „სარკეში“ ჩაიხედოს?

**ვასილ მალაფერიძე იხსენებს, რომ ამ დღესთან დაკავშირებით პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მაშინ თავისუფლების მოედანზე 150 ათასი კაცი იყო შეკრებილი. მალაფერიძე ამბობს, ამ ორი აქციის შედარება უკვე უნარ-ჩვევების საკითხია და მეტი არაფერიო.**

თავად აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ აქციაზე 200 ათასამდე ადამიანი იყო. „ქართული ოცნების“ წევრი ზვიად ძიძიგური, რომელიც აქციის ორგანიზაციულ საკითხებს კურირებდა, presage.tv-სთან საუბარში აცხადებს, რომ ვისაც ამ მონაცემის გადამოწმება სურს, შეუძლია ყველაზე ხალხმრავალ დროს, ანუ დაახლოებით დღის სამი საათიდან გადაღებული ფოტოები ნახოს. ძიძიგურის განცხადებით, იმის გამო, რომ ხალხი ძალიან მჭიდროდ იყო განლაგებული, ბიძინა ივანიშვილს ცენტრალური ფოსტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან თავისუფლების მოედნამდე მოსვლისთის საათნახევარზე მეტი დრო დასჭირდა.

ზვიად ძიძიგური აქციის მონაწილეთა რაოდენობასთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არ ეთანხმება.

**„ინტერპრესნიუსმა“ კვადრატულ მეტრზე ოთხი კაცი იანგარიშა, მაგრამ ადამიანები აქციაზე ისე მჭიდროდ იდგნენ, რომ ამ შემთხვევაში ეს გათვლა კვადრატულ მეტრზე მინიმუმ ექვს კაცზე მაინც უნდა გაკეთდეს. კონსერვის კოლოფში თევზები რომ მჭიდროდ არის ჩალაგებული, დაახლოებით ასე იყო ხალხი ამ აქციაზე. ამის გამო, ძალიან ბევრს გული წაუვიდა და მათ წყალს და სააფთიაქო საშუალებებს ვაწვდიდით. ვინც დაინტერესებულია აქციაზე მყოფი ადამიანების რეალური რაოდენობით, შეუძლიათ აიღონ ეს კადრები, ნახონ და თავად დარწმუნდებიან ჩემს ნათქვამში“,** — ამბობს ზვიად ძიძიგური.

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი აქციაზე საუბრისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ როდესაც აქცია მოძრაობს, მაშინ შეუძლებელია მასში მონაწილეთა რაოდენობის განსაზღვრა, რადგან შეიძლება აქცია ისე გაიწელოს, რომ კაცი ილუზიაში ჩავარდეს. ირაკლი წერეთელის თქმით, როდესაც მიტინგი დაიწყება და მოძრაობა შეწყდება, ამ პერიოდში რა ტერიტორიაც შეკრებილ საზოგადოებას უკავია, იმის ფართობი უნდა გამრავლდეს მაქსიმუმ სამ კაცზე და ასე მიიღება აქციაში მონაწილეთა რაოდენობა.

**„მე აქციაზე არ ვყოფილვარ. ამიტომ ზუსტად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ზოგადად რა ფართობიც მომიტინგეებს უკავიათ, ის უნდა გამრავლდეს მაქსიმუმ სამ კაცზე. შეუძლებელია გუშინ 200 ათასი კაცი ყოფილიყო, რადგან 200 ათასი არის, თუკი გაივსება თავისუფლების მოედანი, მთლიანად რუსთაველის გამზირი და პლიუს ამას რესპუბლიკის მოედანი. მთელი ეს ტერიტორია თუ გაივსება, მაშინ არის 200 ათასი კაცი შეკრებილი. გუშინ კი ამდენი ხალხი არ ყოფილა“,** — ამბობს ირაკლი წერეთელი, რომლის აზრითაც გუშინდელ აქციაზე შეიძლება მაქსიმუმ 100 ათასი კაცი ყოფილიყო.

„სახალხო კრების“ წევრი ირაკლი ბათიაშვილი აღნიშნავს, რომ აქციის მონაწილეების რაოდენობის შესაფასებლად საჭიროა აქციას ზემოდან გადახედოს.

**„ჩვენ ხალხში ვიდექით და ზემოდან აქციის დანახვის საშუალება არ მქონია. ერთი კი შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ აშკარად ძალიან ბევრი ხალხი იყო. როგორც მითხრეს, მეტრო თავისუფლების მოედნის წინ ძალიან დიდი სიმჭიდროვე იყო, ხალხი ძალიან ბევრი იყო რუსთაველის თეატრის წინაც. საერთოდ კი მინდა გითხრათ, რომ ხშირად მომიტინგეთა რაოდენობებს არასწორად ვაფასებთ ხოლმე. თავის დროზე იპოდრომზე რომ გაიმართა აქცია, მე მაშინ ციხიდან ახალი გამოსული ვიყავი და კარგად მახსოვს, ზემოდან რომ გადმოვხედე, ამ რაოდენობის ხალხი არ მინახავს, ეროვნული მოძრაობის დროსაც კი. იპოდრომზე მაშინ დაახლოებით 100 ათასი კაცი იყო მოსული“,** — აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ თბილისისთვის 50-60-ათასიანი მიტინგიც კი ძალიან ხალხმრავალია. ბათიაშვილს მაგალითად მოჰყავს მოსკოვი, სადაც რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ოპოზიციამ იქ დაახლოებით 50 ათას კაცზე მეტის შეგროვება ვერ მოახერხა. თბილისისთვის კი ეს ძალიან დიდი რიცხვია და მით უფრო, თუკი აქციაზე ამაზე მეტი ადამიანი იყო მისული.

სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს დაახლოებით იგივე მოსაზრება აქვს, რაც „ინტერპრესნიუსმა“ გააჟღერა. გორგილაძე ამბობს, რომ „Google map“-ის მეშვეობით გაზომა ხალხით დაფარული ტერიტორიის ფართობი.

**„თავისუფლების მოედანზე არის დაახლოებით 10 000 კვადრატული მეტრი, 20 000 კვადრატული მეტრი რუსთაველის გამზირზე, რომელიც ხალხით იყო დაფარული და პუშკინის ქუჩის ის მონაკვეთი, სადაც ხალხი იდგა, არის დაახლოებით 8 000 კვადრატული მეტრი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქციის ფარგლებში იყო მონაკვეთები, რომლებზეც ხალხის სიმჭიდროვე განსაკუთრებით მაღალი იყო და იყო ადგილები, სადაც სიმჭიდროვე დაბალი იყო, განსაკუთრებით თავისუფლების მოედანზე. მთლიანობაში, ხალხით დაახლოებით 40 ათას კვადრატულ მეტრამდე იყო დაფარული და განსხვავებული სიმჭიდროვის გათვალისწინებით, თუ ამ მონაცემს გავამრავლებთ სამზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქციის მონაწილეთა ოდენობა 100-დან 120-130 ათასამდე მერყეობდა.**

**ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი აქცია, რომელიც ძალიან შთამბეჭდავი იყო. მართალია, მე მქონდა მოლოდინი, რომ ამაზე მეტი ადამიანი მივიდოდა ამ აქციაზე, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ხაზგასასმელია აქციის კარგი ორგანიზაცია“,** — ამბობს ვალერიან გორგილაძე.

**ნინო ჟღენტი**

◉ თვითნებობა

# როცა კანონთა მოთხოვნებს ფეხქვეშ თელავენ

**საქართველოს ხელისუფლება კონსტიტუციაში მორიგი ცვლილებების შეტანას გეგმავს. ამჯერად საქმე ეხება კოლხეთის ეროვნულ პარკში ქალაქ ლაზიკის უფლებამოსილებისა და სტატუსის განსაზღვრას ორგანული კანონით. არასამთავრობო ორგანიზაცია ეკოლოგიური სამართლის ცენტრი ლაზიკის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებებსა და ხელისუფლების კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს აპროტესტებს.**

ამ საკითხთან დაკავშირებით ეკოლოგიური სამართლის ცენტრის თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ პრესკონფერენცია გამართა. მან განაცხადა, რომ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა „სტრატეგიული განვითარების სააგენტომ“ 25 მაისიდან დაიწყო საჯარო განხილვები ხსენებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. ხელისუფლება აწყობს შეხვედრებს და ქმნის ილუზიას, რომ საზოგადოება მხარს უჭერს ამ ცვლილებებს, რის შედეგადაც პრეზიდენტი წარმოადგენს წინადადებას პარლამენტში კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით., დღევანდელი პარლამენტის მორჩილი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, მას მხარს დაუჭერს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კანონპროექტის მომზადებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ. ეს ეწინააღმდეგება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტს, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს, მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებს, პირველი მუხლის 1-ლ პუნქტს და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტს; მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“, „კ“, „პ“ ქვეპუნქტებს და მე-3 პუნქტს, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტს. ქალაქის შექმნის ინიცირებისას უნდა გათვალისწინებულიყო კანონის მოთხოვნები სარეკრეაციო ზონებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ნიადაგის, წყლის, ფლორის, ფაუნისა და კლიმატის შენარჩუნება-დაცვა. მაშინ, როცა ეს ყველაფერი არ არის შესწავლილი ექსპერტების მიერ, ხელისუფლება აპირებს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას.

წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილების კანონპროექტით ირღვევა რამსარის საერთაშორისო კონვენცია, ვინაიდან ამ კონვენციით დაცულია კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია, უზრუნველყოფილია წყალჭარბი ტერიტორიების დაცვა და მდგრადი გამოყენება. გარდა ამისა, 2007 წლიდან კოლხეთის ეკოსისტემა შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

რამსარის კონვენციისთვის გვერდის ავლის მიზნით, 2012 წლის 28 მაისს პარლამენტში შევიდა კოლხეთის დაცული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრების შეცვლას ითვალისწინებს. კერძოდ, მცირდება პარკის საზღვრები.

პარკი მდებარეობს კონფლიქტურ ზონასთან ახლოს, რაც კიდევ უფრო დაძაბავს შექმნილ ვითარებას. აღნიშნული პარკი არ არის მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება, სასურველია მთავრობა საზოგადოებასაც დაეკითხოს აზრს.

**ნათია ამბროლაძე, ნინო გელაძე,**
მარკეტინგული და მედიაკომუნიკაციების
სასწავლო უნივერსიტეტი

**გამოცდების** ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი Presage.tv-სთან საუბარში იმ ჩინოვნიკთა გვარებს ასახელებს, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის ეროვნულ გამოცდებზე შეტანას ეწინააღმდეგებოდნენ, რაც, მაია მიმინოშვილის აზრით, ანტიეროვნული გადაწყვეტილება იყო.

უკვე ცნობილია, რომ მაია მიმინოშვილს მთავრობა რამდენიმე ახალ თანამდებობას სთავაზობდა, მათ შორის, დიპლომატიურ ასპარეზზეც, რადგან დიმიტრი შაშკინსა და მაია მიმინოშვილს შორის უთანხმოება ათი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. თუმცა, თუ შაშკინის პრესსამსახურს დავუჯერებთ, მინისტრი ყველაფერს აკეთებდა, რომ მიმინოშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილება არ მიეღო. როცა უკვე შაშკინს გამოსავალი აღარ დარჩენია, ისევ მთავრობას გამოუნახავს გამოსავალი და მიმინოშვილისთვის რამდენიმე მაღალი თანამდებობის დაკავება შეუთავაზებია, მათ შორის, ჯანდაცვის სამინისტროში წამყვანი პოზიცია და ევროპის ერთ-ერთი ლიდერი სახელმწიფოს ელჩობა, მაგრამ მაია მიმინოშვილი ვერ დაიყოლიეს.

როგორც ჩანს, ევროპულ ქვეყნებში მაღალ თანამდებობებზე ადამიანების დანიშვნა ნაცმოძრაობის მხრიდან მათი ჩამოცილების აპრობირებული მეთოდია. თავის დროზე ასე მოექცნენ ზურაბ ჭიაბერაშვილს, ზაზა ბეგაშვილს (რომელიც შორეულ ჩინეთში გაგზავნეს), კოკო გამსახურდიას...

თუმცა, მაია მიმინოშვილთან ამ შეთავაზებამ არ გაჭრა. იგი განათლების სისტემაში 12 წლის განმავლობაში მუშაობდა და დიპლომატიურ სამსახურში თუ ჯანდაცვის სამინისტროში თავის თავს ვერ ხედავდა. ასეა თუ ისე, შაშკინის უწყებას მხედველობიდან ერთი რამ გამორჩა: რატომ გაუხსენეს მაია მიმინოშვილს ძველი წყენა და შეთავაზებულ სამსახურებზე უარის თქმა მაშინ, როცა 27 მაისის აქციაზე მისი ვაჟი იხილეს, ხოლო 26 მაისს მაია მიმინოშვილის ძმის, ჯგუფ „შინის“ წევრის – ზაზა მიმინოშვილის ზარი განხორციელდა ბავშვობის მეგობარ მაია ფანჯიკიძესთან?!



Presage.tv **მაია მიმინოშვილს** ესაუბრა.

# მე ისეთ ქართველს რა ვუთხარ...

## „პირდაპირ გეტყვით, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გაყალბებული ატესტატები დაურიგდათ“

**– ქალბატონო მაია, მართლაც შემოგთავაზეს დიპლომატიური კარიერა?**

– შვეიცარიაში ჩემს ელჩობაზე კატეგორიული უარი განვაცხადე. სრულიად უბრალო მიზეზი იყო და, ალბათ, დამეთანხმებით – დიპლომატიურ სამსახურში სრულიად გამოუცდელი გადავიდე იმ სამსახურიდან, რასაც, მეტ-ნაკლებად, წარმატებით ვართმევ თავს საქმეს? მგონი, არცთუ ისე ცუდად ვმუშაობდი. სრულიად გაუგებრობა იყო ჩემთვის, რატომ უნდა წავსულიყავი შვეიცარიაში, იმის მიუხედავად, რომ ჟენევა ძალიან მომწონს. ამიხსნეს, რომ განათლების მინისტრთან უთანხმოებაა და სანამდე შეიძლებოდა, ეს გაგრძელებულიყო? უბრალოდ, ერთი რამ შევთავაზე, რომ, თუ ეს მხოლოდ ერთ პიროვნებას უკავშირდებოდა, შეიძლებოდა, რამდენიმე გზის მოძებნა ამასთან დაკავშირებით და საჭირო არ იყო ფორჩიანი თანამდებობების გამოგონება იმისთვის, რომ მოვცილებულიყავი ამ სისტემას. ისედაც უპრობლემოდ წავიდოდი, თუ მარტო ჩემში იყო პრობლემა, მაგრამ საინტერესოა, რა პრეტენზია აქვს ამ ადამიანს ჩემი მისამართით? ეს მე არ ვიცი. ასე პირისპირ ჩემთან დაჯდომას არანაირი აზრი არ აქვს, თუ შესაძლებელი იყო, მაგალითად, პრემიერთან თანდასწრებით გვესაუბრება ამ თემაზე. უბრალოდ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე მოვისმენ და მივიღებ ყველა მის არგუმენტს, თუ რაღაც ისეთ კრიმინალზე არ არის საუბარი და პირობას ვიძლევი, შევასრულო ყველაფერი, ოღონდ გამაგებინოს, რაში მედება ბრალი. ხომ შეიძლება, ვიცოდე, რა პრეტენზიებია ჩემთან დაკავშირებით?! ეს არ მოხდა და არ შედგა შეხვედრა. ბუნებრივია, შვეიცარიის ელჩობაც ასე დამთავრდა.

**– დიპლომატიურ ასპარეზზე მაშინ ისტუმრებს საქართველოს ხელისუფლება ამა თუ იმ მოხელეს, როცა მისი პოსტიდან ჩამოცილება სურთ. თქვენს შემთხვევაშიც, ჩამოცილების მცდელობა იყო?**

– მართალი გითხრათ, სახტად დავრჩი. განათლების სისტემის გარდა, სადაც 12 წლის განმავლობაში ვმოღვაწეობდი და უფრო ადრეც, რადგან ლექტორი გახლდით 21 წლიდან, სხვაგან არსად არ მიმუშავია. აქ გამომდის საქმე იმიტომ, რომ უკვე ნამდვილად დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ასე უცბად ავხტე და დიპლომატიურ ასპარეზზე წავიდე? ელჩობა საპასუხისმგებლო თანამდებობაა, მე ასე, მგონია და ასე ყოველგვარი ცოდნისა და გამოცდილების გარეშე, ძალიანაც რომ მდომოდა, ვერ მოვიქცეოდი.

**– სიმონ ჯანაშიას კომენტარი გავრცელდა, რომ თურმე წინამორბედ მინისტრთანაც პრობლემები გქონიათ.**

– სიმონს ბევრ რამეში არ ვეთანხმები. ერთი კომენტარი წამიკითხეს იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ისეთ საქმეებში ვერეოდი და ვუშლიდი ხელს რეფორმირებას, რომელიც მე პირადად არ მეხებოდა. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსება. სამწუხაროა, ბატონი სიმონ ჯანაშია რომ იტყუება, რადგან ის შესანიშნავადაა საქმის კურსში, როცა შემოვიდა დაფინანსების ახალი სისტემა, სახელმწიფო გრანტის სახით, ეს პირდაპირ კავშირშია საგამოცდო სისტემასთან.

თქვენ იცით, რომ შედეგების საფუძველზე გაიცემა სახელმწიფო გრანტი. ასე რომ, ეს რას ნიშნავს? მე უნივერსიტეტების დაფინანსებაში ვერეოდი? ეს პირდაპირ ეხებოდა ჩვენს საქმიანობას. მე არასდროს მქონია პრობლემა, გვემსჯელა მინისტრთან ერთად, ჩემი წინადადებები მიმეწოდებინა, მოსაზრებები შემეთავაზებინა და გადაწყვეტილება მერე ყოფილიყო მიღებული. არასდროს არ მითქვამს, დაფინანსება ასეთი იყოს თუ ისეთიო.

**– თუ მართლაც პრობლემები გქონდათ წინამორბედ მინისტრთან, აქამდე რატომ არ გამოხატეს დამოკიდებულება თქვენს მიმართ და რატომ იყავით ამ პოსტზე ამდენ ხანს?**

– წინა მინისტრი გახლდათ ნიკა გვარამია, ძალიან მიყვარს ეს ადამიანი, დიდ პატივს ვცემ და ნიკამაც და ბევრმა ადამიანმაც ეს შესანიშნავად იცის. ბედნიერი წელი იყო (ერთი წელი თუ ცოტა მეტიძ ნიკასთან ერთად გატარებული დრო, და მე ვთვლი, რომ ეს ადამიანი უაღრესად ნიჭიერია და შესანიშნავი კანდიდატურა იყო ამ პოსტზე.

**– სხვათა შორის, უცხოეთში განათლების მისაღებად მისმა გამგზავრებამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თქვენ თუ შეგიძლიათ ამ გადასახედიდან რაიმე გვითხრათ? რატომ დატოვა გვარამიამ განათლების მინისტრის პოსტი?**

– ამ გადასახედიდან ერთი რამ მინდა გითხრათ. ნიკამაც ეს ძალიან კარგად იცის, უკიდურესად დამწყდა გული, ნიკა რომ წავიდა ამ პოსტიდან. მართალი გითხრათ, ეს იყო ჩემი პირადი ტრაგედია. ნამდვილად არ მინდოდა, წასულიყო, მაგრამ ეს მისი პირადი არჩევანი იყო და საბოლოო ჯამში, მის არჩევანს პატივს ვცემ.

**– რატომ წავიდა, მასაც პრობლემებს ხომ არ უქმნიდნენ?**

– ამის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი. უბრალოდ, ჩემს გულისტკივილს გამოვხატავ, რომ ნიკამ ეს პოსტი დატოვა და წავიდა. ცუდი დამოკიდებულება კი არა, ასეთი დამოკიდებულება, მე არ ვიცი, კიდევ ვისთან შეიძლება მქონდეს, საქმიან დამოკიდებულებაზე მოგახსენებთ.

**– კახა ლომაიას დროს რა ხდებოდა სამინისტროში? იქნებ, ლომაიას პერიოდს გულისხმობდა სიმონ ჯანაშია?**

– ლომაიასთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და ეს ის პერიოდი იყო, მართლა ნათელი პერიოდი, როდესაც ჩვენ ერთად დავიწყეთ ეს უმნიშვნელოვანესი საქმე. ამ შემთხვევაში, ხაზი მინდა გავუსვა, რომ კახა ლომაიას ლომის წილი მიუძღვის იმაში, რაც ერთიანი ეროვნული გამოცდების სახით დაინერგა 2005 წელს.

**– მაშინ რატომ ახსენა სიმონ ჯანაშიამ ყოფილი მინისტრი? უბრალოდ, სიტყვის მასალად?**

– ერთადერთი, შეიძლება, სიკო ჯანაშიას მხედველობაში ჰყავს ბატონი გია ნოდია, რომელთანაც უთანხმოება ჰქვია, ალბათ... კი, ბატონო, ასე დავარქვათ, ყოველ შემთხვევაში, ასე გაჟონა პრესაში, უთანხმოება გვქონდა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ სურდათ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის გაუქმება. მაშინ, რა თქმა უნდა, ვთქვი, რომ, თუ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს მინისტრი, ამაში მე არ გავერეოდი. ეს ნამდვილად დავაფიქსირე.

ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდნენ გიგი თევზაძე, გია ნოდიას მაშინდელი მოადგილე ანა ჟვანია და სიკო ჯანაშია, რომლებიც ერთ აზრზე იყვნენ და ამბობდნენ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა არ იყო საჭირო.

**– ანუ, საქართველოში, სადაც ძირეული და სახელმწიფო ენა ქართულია, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა არ სურდათ? ამას პოლიტიკური სარჩული უდევს?**

– სხვათა შორის, ეს ბატონი გიგი თევზაძისა და სიკო ჯანაშიას მოსაზრება იყო. ეს იყო მათი მოსაზრება და ისევ რჩება. ეს შემიძლია დავადასტურო. სიკოზე ვერაფერს ვიტყვი, მართალი გითხრათ, უბრალოდ, მის კომენტარებზე კომენტირება შემიძლია, მაგრამ, როდესაც თებერვლის თვეში შეიქმნა კომისია, რომელსაც ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე უნდა ემუშავა, ერთ-ერთი კომისიის წევრი ნამდვილად იყო გიგი თევზაძე, რომელიც იქაც ადასტურებდა, რომ ზოგადი უნარების გარდა, არც ერთი გამოცდა არ არის საჭირო. მათ შორის, არც ქართული.

**– როდესაც თქვენ ამას წინააღმდეგობა გაუწიეთ, მიგაჩნდათ, რომ ეს ანტიეროვნული გადაწყვეტილება იყო?**

– კი, ბატონო. ასე იყო.

**– მათი არგუმენტი რა იყო, გარდა იმისა, რომ უნარჩვევების მოტივს ასახელებდნენ?**

– ამბობდნენ, რომ უნარების გამოცდა სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ ჩატარებულიყო მისაღები გამოცდები. ძალიანაც კარგია უნარების მიხედვით სახელმწიფო გრანტის განაწილებაო. აქ ყოველთვის მკაცრი პოზიცია მქონდა და ჩემს აზრს ვამბობდი. სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად მიმაჩნდა, რომ შეიძლება, მინისტრთანაც და კომისიის წევრებთანაც იკამათო და საკუთარი მოსაზრება დააფიქსირო. ეს იყო და ეს.

**– თქვენი აზრით, გიგი თევზაძე და გია ნოდია თავისით მოქმედებდნენ ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როდესადც არ უნდოდათ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის დაშვება, თუ ეს ვინმეს დავალება იყო?**

– ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ. როდესაც შეხვედრა იყო და თქვეს, ჩვენ ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ და სწორად მიგვაჩნია, რომ ქართული ენა და ლიტერატურა ნამდვილად არ არის მნიშვნელოვანი და ეს უნდა გაუქმდესო, ყველანაირი არგუმენტები მოვიყვანე და ამით დამთავრდა საუბარი. რამდენიმე ხნის შემდეგ სიკო ჯანაშია აკეთებს განცხადებას (სხვათა შორის, ომბუდსმენის ოფისშიძ, ეთნიკურ უმცირისობებს მიმართავს და ეუბნება, თქვენ ნუ გეშინიათ, წელს უკვე გაუქმებულია ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა და თქვენ არ მოგიწევთ ამ გამოცდის ჩაბარებაო.

**– ეს როდის მოხდა, თუ გახსოვთ?**

– გია ნოდიას მინისტრობის პერიოდში. ზუსტ თარიღს ვერ გავიხსენებ.

**– სხვათა შორის, ახლაც დაგდეს ბრალი ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით, თუმცა, რამდენადაც ვიცი, მათი საქართველოსთან ინტეგრირებისა და მათთვის ქართული ენის სწავლების მიზნით აქტიურად მოღვაწეობდით. რატომ მოდის ასეთი ბრალდებები მაინცდამაინც ეთნიკური ნიშნით? ეს რობერტ სტურუასთან მიმართებით გაკეთებულ განცხადებებს მაგონებს.**

– ძალიან საინტერესო რამ არის და დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის. საინტერესოა, რას გულისხმობდა კოკა სეფერთელაძის კომენტარი ამასთან დაკავშირებით. კარგა ხნით ადრე, სანამ შაშკინი მოვიდოდა მთავრობაში, მანამდე დაინერგა ზოგადი უნარების ტესტი არაქართულენოვნებისთვის მათ მშობლიურ ენაზე. ეს იყო 2006 წელს. აღმოჩნდა, რომ ამას არ გულისხმობდა და გულისხმობდა ძალიან საინტერესო რამეს, რაზეც მე არასდროს კომენტარი არ გამიკეთებია და ხმამაღლა ამაზე არ მისაუბრია. კერძოდ, მოდით პირდაპირ გეტყვით, რომ გაყალბებული ატესტატები დაურიგდათ ეთნიკურ უმცირესობებს. ამ ადამიანთა რიცხვი ცოტა არაა, 600-ს აღწევს, რაც საბოლოო ჯამში, აღმოვაჩინეთ. როდესაც ეს ყველაფერი გაირკვა, მეც საქმის კურსში არ ვიყავი და სრულიად შემთხვევით გავარკვიე, რადგან ბავშვები მოვიდნენ ჩვენთან, ცენტრში და პრეტენზია გამოგვიცხადეს, რატომ არ დაგვიშვით ეროვნულ გამოცდებზეო?

ჩვენს ბაზაში გადავამოწმეთ და ეს ბავშვები ჩაჭრილები იყვნენ. როცა განვუცხადეთ, თქვენ ჩაჭრილები ხართ და არ გეკუთვნით ატესტატიო, მათ შეიცხადეს, რას ნიშნავს, ატესტატი არ გვაქვს, აგერ, ეს არის ჩვენი ატესტატიო და ჩანთიდან ამოიღეს ატესტატები. ეს იყო სრული შოკი ჩვენი ორგანიზაციისთვის. მართლა ძალიან მძიმე პერიოდი გადავიტანეთ. ეს მოხდა შარშან, 2011 წლის აგვისტოში. ეს იყო შოკი, ლამის ყურებზე გავიარეთ, 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით, რომ გამოცდები ჩაგვეტარებინა და საბოლოო ჯამში, ატესტატები დარიგდა ისე, როგორც ვიღაცას სჭირდებოდა. როცა ამაზე განვაცხადე და შაშკინს ვუთხარი, ეს რატომ გააკეთე, პასუხი იყო ასეთი: ასე იყო საჭირო და იმიტომ, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებააო.

**– რომელი რეგიონის უმცირესობის წარმომადგენლები იყვნენ ეს ბავშვები?**

– ძირითადად იყვნენ არაქართულენოვნები, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ იქ ქართული გვარებიცაა ბლომად. ძირითადად სომხები და აზერბაიჯანლები იყვნენ. რაც ყველაზე მთავარია, ამას მინდა ხაზი გავუსვა და ძალიან გთხოვთ, კარგად გამიგეთ, როცა კოკა სეფერთელაძე საუბრობს იმაზე, რომ თურმე მე ხელს ვუშლიდი ეთნიკურ უმცირესობებს, სწავლა გაეგრძელებინათ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება სომხეთი და აზერბაიჯანი.

ამისთვის გამოსცეს ბრძანება, სადაც წერია, რაც, ჩემი აზრით, არის სრული ნონსენსი, რომ ვინც ჩაიჭრა, იმას ვაძლევთ სხვა სერიის ატესტატსო. მე არ ვარ იურისტი, ალბათ, თქვენც არ ხართ, მაგრამ ეს დოკუმენტი მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია. რას ნიშნავს სხვა სერიის ატესტატი? მერე არის განმარტება, ამ სერიის ატესტატით მოსწავლეს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს საზღვარგარეთ, მაგრამ ვერასდროს გააგრძელებს სწავლას საქართველოში. სასაცილოა, რომ მე ჰარვარდში შემიძლია, ვისწავლო, ამ ატესტატით მიმიღებს ჰარვარდი, მაგრამ საქართველოში ამ ატესტატით წნორის უნივერსიტეტშიც ვერ გავაგრძელებ სწავლას.

მეორეც, როდესაც საუბარია, რომ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებელში უნდა ჩაბარება მოსწავლეს, რატომ უნდა გამოყო სომხეთი და აზერბაიჯანი? ის ისეთივე ქვეყანაა ჩემთვის, როგორც საფრანგეთი და ინგლისი. მათ ატანენ აპოსტილით დამოწმებულ ატესტატს, სპეციალური ბეჭედი ერტყმება, მაგრამ ეს აპოსტილი არ არის ჯიბეში ჩადებული ბეჭედი. ეს არის საერთაშორისოდ აღიარებული ბეჭედი, რაც ნიშნავს, რომ თქვენ თუ ეს აპოსტილიანი დოკუმენტი წარადგინეთ სორბონას უნივერსიტეტში, საფრანგეთს აქვს იმის დასტური, რომ საქართველო ამ ატესტატს აღიარებს, რომ ამ ბავშვმა საშუალო განათლების სრული კურსი გაიარა. ჩვენ რას ვაკეთებთ? სომხებს და აზერბაიჯანლებს ვატყუებთ, რომ ჩვენ არ ვაღიარებთ ამ ატესტატს და ჩვენთან ვერ იწავლის, მაგრამ ამ ატესტატით თქვენ აღიარეთ და ასწავლეთ. მესამე, ყველაზე მძიმე – ამ ბავშვებს, სომხებსა და აზერბაიჯანლებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან და სრული უფლება აქვთ და ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ აქ ისწავლონ, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, ვაგდებთ ერევანსა და ბაქოში და ვეუბნებით, შენ შანსი არ გაქვს, საქართველოში ისწავლო და კეთილი ინებე, აზერბაიჯანში და სომხეთში წადი სასწავლებლადო. ეს არის ეთნიკურ უმცირესობებზე ზრუნვა?

**– ამ ბავშვების მოშორება უნდოდათ?**

– ეს უკვე მათ ჰკითხეთ, ვინც ეს ჩაიდინა. მაგრამ მე ამაზე კომენტარი არასდროს გამიკეთებია. როცა პიროვნულ შეუთავსებლობაზეა საუბარი, ასეთ საკითხებთან დაკავშირებით, დიახაც მაქვს პიროვნული შეუთავსებლობა, მაგრამ პირდაპირ მინისტრს ვეუბნები, რომ ეს არ გააკეთოს და გარეთ არ გამოვდივარ და ჟურნალისტებს არ ვატყობინებ.

**– ასეთი ცალკეული დოკუმენტების გამოშვება, ალბათ, კრიმინალია?**

– ერთმნიშვნელოვანი კრიმინალია.

**– ისევ დიპლომატიურ თანამდებობას დავუბრუნდეთ. ის, რომ თქვენ შვეიცარიის ელჩის პოსტზე უარი თქვით, მაინცდამაინც 27 მაისის აქციის შემდეგ რატომ გაახსენდათ?**

– იმიტომ, ჩემო კარგო, რომ არგუმენტების მოყვანაში მოიკოჭლა და ვერაფრით დაასახელა, მიზეზი ვერ მოიყვანა იმისა, რატომ ვიყავი გათავისუფლებული სამსახურიდან, ახლა დასჭირდა არგუმენტები. უნდა ჩამოეყარა რაღაც არგუმენტები და ეთქვა, რა გინდათ, ვზრუნავთ ამ ადამიანზე, მაგრამ ეს ადამიანი ისეთი ჯიუტია, გვეწინააღმდეგება, რადგან გვინდოდა, რომ წასულიყო ჟენევაში და უარი თქვაო.

**– მე მგონი, ეს თქვენს ძმასა და ვაჟს უკავშირდება. „მაესტროს“ ეთერით თქვენმა ძმამაც „აღიარა“, რომ „ქართული ოცნების“ აქციის შემდეგ მოხდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება. თქვენ რას უკავშირებთ?**

– ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ რაც უფრო მეტი არგუმენტი მოჰყავთ, მით უფრო იხლართებიან საკუთარ არგუმენტებში. მაშინ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ეს მართლაც პოლიტიკური ნიშნით მომხდარა და ძირითადი მიზეზი ჩემი შვილის აქციაზე ყოფნა და ჩემი ძმის განცხადება ყოფილა. ალბათ... აბა, მეტი რა უნდა ვივარაუდოთ?

**– ანუ თქვენი ძმის მხრიდან საქართველოში დარეკვას გულისხმობთ? უსმენენ ტელეფონებს და აქედან გამომდინარე, მიიღეს ეს გადაწყვეტილება?**

– ალბათ, ასეა.

**– მაია ფანჯიკიძესთან მეგობრობს თქვენი ძმა. მათი ბავშვობის მეგობრობა საიდან იწყება?**

– მაიას ოჯახს ახლოს ვიცნობდით, მის მშობლებსა და ჩემს მშობლებს ძალიან ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ. ბავშვობაში სულ ერთად ვიყავით, წლების განმავლობაში ერთად ვისვენებდით. მაია ფანჯიკიძე ცნობილი ქართველი მწერლის გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილია, რომელიც მამაჩემის ძალიან ახლო მეგობარი იყო. მამაჩემიც მწერალი გახლდათ და მეგობრობდნენ. მოგვიანებით, ზაზასა და მაიას ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან მაია გერმანიაში იყო ელჩად და ჩემი ძმაც წლების განმავლობაში იქ ცხოვრობს.

**– მართალია, რომ გია ხუხაშვილის კლასელი ხართ?**

– დიახ, ასეა. კომაროვში ერთად ვსწავლობდით. მაგრამ, სამწუხაროდ, მას მერე, რაც დავამთავრეთ სკოლა, გიასთან არანაირი შეხება არ მქონია.

**– „ქართულ ოცნებაში“ გაწევრებას არ გეგმავთ?**

– არავითარ შემთხვევაში. მინდა, მაქსიმალურად შორს ვიყო პოლიტიკისგან და საქმეს ვაკეთებდე. ამით ვეხმარებოდე ჩემს ქვეყანას. მე მგონი, ეს აქამდეც კარგად გამომდიოდა და დიდი იმედი მაქვს, ჩვენი გუნდი არაერთხელ კიდევ გამოიჩენს თავს.

**მანანა ნოზაძე**

# „წარმატებული“ საქართველოს დამოუკიდებლობის ზეიმი



**საქართველოს მოსახლეობამ დამოუკიდებლობის მორიგი დღე „იზეიმა“, თანაც ორ დედაქალაქში – თბილისსა და ქუთაისში – ქვეყნისათვის შეუფერებელი გრანდიოზული ღონისძიებებით და, ცხადია, კონცერტებით.**

ღირსშესანიშნავ თარიღამდე ქვეყანა განსაკუთრებული ნახელავით მივიდა, რომელთა დიდი ნაწილიც რუსთაველის პროსპექტზე გამოიფინა – დასამტკიცებლად იმისა, რაოდენ მაგრები ვართ ნაცთა გონივრული მეთაურობის წყალობით.

რას არ ნახავდით აქ – სამხედრო ტექნიკასა და სამრეწველო საქონელს, სოფლის ნობათს და ყვავილებს... მაგრამ სხვა ნახელავიც არის, რომელიც არც გულს ახარებს და არც სულს – ყოვლისშემძლეობა, ჭარბი თავდაჯერებლობა, თავხედობა ჰქვია მას, ესოდენ მოჭარბებულად რომ არის გამოკიდებული ნაციონალური ცის კაბადონზე.

**„წარმატებულ Made in Georgia“ ნახელავიდან გამოვყოფდი ქვეყნის უზენაესი კანონის – კონსტიტუციის მორიგ გაბახებას, ცხადია სქესობრივად აღგზნებული თინეიჯერი ხელისუფლების მხრიდან. ერთი კაცისათვის განხორციელებულმა ცვლილებამ არა მარტო საზოგადოება აღაშფოთა, არამედ თვით ის კაციც, ვისთვისაც პარლამენტმა ორი მოსმენით ერთობ უხერხული, მსოფლიო პარლამენტარიზმის ისტორიაში ჯერ არნახული გადაწყვეტილება მიიღო.**

ეს უმადური „ერთი კაცი“ კი ვირზე შეჯდა (იქნებ ზებრაზეძ და ნაცვლად მადლობისა, პრეზიდენტს გულგამგმირავი უსტარი აჯახა. ჯერი პრეზიდენტზე იყო, მაგრამ მისი გადაწყვეტილება იყო ისეთი, როგორიც პარლამენტის.

ისე კი, „უმადურის“ გასაგონად, გაცილებით უმჯობესი იქნებოდა საკუთარი მოსაზრების პარლამენტის სხდომამდე გამომზეურება. მაშინ ნაკლები ემოციები გადმოიღვრებოდა „უმადურის“ მიმართ, ნაკლებ ნაციონალურ ვერსიებს მოისმენდა საზოგადოება თუნდაც ასეთს, რომ „მას“ არც არასდროს სურდა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

ნაციონალებს გულზე დადებული დიდი ლოდი მოეშვათ. მათ ხმამაღლა შეუძლიათ აუწყონ დასავლელ გულშემატკივრებს „დემოკრატიული“ საკონსტიტუციო ცვლილების თაობაზე და თუ „უმადური“ ამას არ გამოიყენებს - მისი პრობლემაა.

კონსტიტუციის კიდევ ერთხელ გასაბახებლად ნაცებმა ქრისტიან-დემოკრატები გაამწესეს. მათმა ლიდერმა, ჩვეული „აკადემიური“ მსჯელობით, „დაარწმუნა“ საზოგადოება, რომ ორ ჯიხვს შორის შეტაკების შესაჩერებლად შესანიშნავ სამშვიდობო მანდილს მიაგნო. მაგრამ თვით საზოგადოების აღშფოთებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მას არც მანდილი მოსწონს და არც მემანდილე.

**საზოგადოების და თვით „უმადურის“ აზრით, თარგამაძისა და მისი გუნდის მიერ მოგონებული საკონსტიტუციო ცვლილება არა მარტო კონსტიტუციის, არამედ ქვეყნის შეურაცხყოფაა. ბევრი ამბობს, რომ თარგამაძე არაფერ შუაშია, მან ის გააკეთა, რაც ნაცებმა შეუკვეთეს, რაც არ არის სინამდვილისგან შორს, მაგრამ დაუფიქრებლად საქმის კეთება, თანაც მზაკვრულის, ისევე დასაგმობია, როგორც კულისებში მყოფი ნამდვილი ავტორების მოსაზრება.**

და მაინც რატომ ამოიჩემა ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მოქალაქეები ბატონმა გიორგიმ? რა დააშავეს აშშ-ში, რუსეთში, თუნდაც თურქეთში მცხოვრებმა ქართველობამ. ამ ქვეყნებში ხომ გაცილებით მეტი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე ევროკავშირში? თუ ცვლილებაა, ცვლილება იყოს. რუსები რომ იტყვიან – умирать хоть с музыкой. როგორც ჩანს, მას და მის შემკვეთებს სჯერათ, რომ ასეთები ევროპაში არ მოიძებნებიან.

არანაკლები ჟივილ-ხივილი მოჰყვა საქართველოს ნატოში ასპირანტობას. ჩიკაგოს ნატოს სამიტი ამით (ასპირანტობითძ სულაც არ იყო გამორჩეული, მას თავისი პრობლემები ჰქონდა – ავღანეთის მარყუჟში შეყოფილი თავის გამოყოფის და ამ ქვეყნიდან კუდამოძუებული გამოქცევის სახით.

ავღანეთში აშშ-ს და მისი მოკავშირე ქვეყნების ჯარების შეყვანა ათი წლის წინათ ეიფორიულად განხორციელდა, თანაც ტრანსპორტირების საქმისათვის ნაკლები PR-ით, გამოსვლისას, მით უმეტეს დამარცხების შემდეგ ამ ღონისძიებას სერიოზული ყურადღება ექცევა. ას ოცდაათათასიანი სამხედრო კონტინგენტის და შეიარაღების გამოყვანა სერიოზულ პრობლემებს უკავშირდება.

სამხრეთის გზა – პაკისტანზე გავლით ფაქტობრივად ჩაკეტილია – პაკისტან-აშშ-ს დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობების წყალობით. რაც შეეხება ჩრდილოეთის გზას – რუსეთის გამოყენებით, განსაკუთრებით ქ.ულიანოვსკის, სერიოზულ პრობლემებს აწყდება ანტინატოური განწყობიდან გამომდინარე.

და მართლაც, ულიანოვსკი და ნატო შეუთავსებელი ცნებებია. სხვა გზებიც არსებობს – ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით, თუმცა გაცილებით მცირე გამტარუნარიანობის შემცველი. რომ იტყვიან, კოალიციური ჯარები ავღანურ ტომარაში აღმოჩნდნენ, რაც სერიოზულ თავსატეხს უქმნის აშშ-ს და ნატოს პოლიტიკოსებსა და სამხედროებს. **ჩიკაგოს სამიტის დროს პაკისტანი დაპირდა კოალიციას სამხრეთის გზის გახსნას, თუმცა ტრანზიტისათვის დიდძალი ფული მოითხოვა, რაც აშშ-ს თავისთავად შეუქმნის სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს. ასეთ დროს ნატოს გაფართოებაზე ლაპარაკი ქარაფშუტობაა. ამდენად, ამ თემაზე ლაპარაკით თავი არავის შეუწუხებია, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირებისა.**

ასპირანტობა იმას ნიშნავს, რომ ნატოს მომავალ შეხვედრაზე, 2 წლის შემდეგ, უდავოდ მიგვიღებენ ნატოშიო, – ბრძანა სააკაშვილმა. სააკაშვილის განცხადება გადაჭარბებულად შეიძლება აღვითქვათ, მაგრამ რა ვუყოთ ნატოს გენმდივნის რასმუსენის განცხადებას – საქართველოს აუცილებლად მიიღებენ ნატოშიო.

**დავუშვათ, რომ ეს ასეც მოხდა, გამოდის, რომ ნატო თვით ამბობს უარს იმ პრინციპებზე, რისი დაცვაც, უფრო სწორად გათვალისწინებაც აუცილებელია ყველა ასპირანტი ქვეყნისთვის. მათ შორის გამოვყოფდი ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მეზობლებთან ურთიერთობა, მეზობლებთან დადგენილი საზღვრების არსებობა, ტერიტორიული მთლიანობა და სხვა.**

საქართველოს აქვს ურთიერთობა აზერბაიჯან-სომხეთთან და თურქეთთან, მაგრამ ცუდი ურთიერთობა აქვს რუსეთთან. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ქვეყანასთან 2008 წლიდან გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები. საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები პრაგმატულია, ისე, როგორც საქართველო-სომხეთის, თუმცა საზღვრების გავლების საკითხში უდავოდ მოსალოდნელია გართულებებიც, რაც სულ ახლახან დაფიქსირდა – დავით გარეჯის სახით.

ჯერჯერობით, კომისიის მუშაობის დასრულებამდე, აზერბაიჯანის მესაზღვრეები გაატარებენ ქართველ მღვდლებსა და ტურისტებს „აზერბაიჯანის საზღვარზე“, მაგრამ რა იქნება შემდეგ?

**ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ეს „შემდეგ“ 20 წლის შემდეგ იქნება ისე, როგორც დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე. კომისია იმუშავებს და იმუშავებს. რაღაც ეტაპზე საზოგადოებას ეტყვიან, რომ რაღაც პროცენტი „შეთანხმდა“ ისე, როგორც კალანდაძემ ბრძანა – 60%. „შეთანხმებულს“ კი არავინ გააცნობს საზოგადოებას - დამთავრების შემდეგო, იტყვიან.**

თუ აზერბაიჯანთან მიღებული იქნება შეთანხმება, რა გაკეთდება სომხეთთან და რუსეთთან მიმართებაში? მათთან გაცილებით მძიმე ვითარებაა, ვიდრე აზერბაიჯანთან. დავუშვათ საზღვრის პრობლემები მოგვარდა, როგორ იქნება აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთის დაბრუნების საკითხი? არც ერთ ყოფილ ავტონომიასთან არ არის პირდაპირი დიალოგი, არც რუსეთთან არსებობს მსგავსი, რის გარეშე საკითხი გადაუჭრელი დარჩება.

2014 წლამდე ორი წელი რჩება – ზემოთ მოყვანილი პრობლემების მოგვარებისთვის უდავოდ მცირე დრო. არც სააკაშვილი და არც რასმუსენი ჯადოსნური ჯოხის პატრონები არ არიან, რომლის აქნევაც მოაგვარებდა იმ პრობლემებს, რომლებიც გახსნიდა ნატოს კარს. მაშ რას ეფუძნება სააკაშვილ-რასმუსენის ოპტიმიზმი? სააკაშვილისეულის გამოცნობა იოლია - ქართული საზოგადოების მორიგ მოტყუებას, მაგრამ რასმუსენის? ისიც გვატყუებს?

ეს, რომ ასეა, თვალნათელია. მაგრამ ხომ შეიძლება სხვა რამეც იყოს? მაგალითად, ნაცვლად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, თბილისის მიერ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება? მაშინ კი მორიგ დამოუკიდებლობის დღესასწაულს საქართველო შაგრენის ტყავივით დაპატარავებული, მაგრამ ნატოში გაწევრებული შეხვდება.

**ერთი რჩევა მინდა მივაწოდო პატივცემულ მიხეილს – ეროვნული დღესასწაულების ჩატარების გრაფიკის შედგენა, ხან აქ და ხან იქ, ისე, როგორც ოლიმპიური თამაშების ან ფეხბურთში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება - ხან ერთ ქვეყანაში და ხან მეორეში. რატომაც არა, თუ ევროკავშირელის პარლამენტარობა, პრემიერობა და პრეზიდენტობა შეიძლება, რატომ არ შეიძლება სამხედრო პარადის ჩხოროწყუში ჩატარება?**

26 მაისამდე ხელისუფლება სხვა მხრივაც ხელდამშვენებული მივიდა, მაგალითად, პარლამენტართა ასაკის 21 წლამდე შემცირება. ამ მხრივაც პირველები ვართ მსოფლიოში, პარლამენტარიზმით განთქმული ქვეყნებისგან განსხვავებული, სადაც კანონებს დაბრძენებული, პრაქტიკული ცხოვრებით გამოწრთობილი ხალხი იღებს და არა მთლად თოთო, პირზე რძეშეუმშრალი გოგო-ბიჭობა.

რას მიქვია კუანა ბებრებიო – ბრძანა მიხეილმა და რვა წელია ქვეყნის მართვის სადავეები თინეიჯერებს არგუნა. თუ რა მოგვიტანა ამან, თითოეული საკუთარ თავზე ვგრძნობთ, გაპარტახებული ქვეყნის და ყოფის სახით. ნაცთა ბატონობის გაგრძელების შემთხვევაში სულაც არ არის გამორიცხული პარლამენტარის ასაკის 18 წლამდე შემცირება. ამ ასაკის თინეიჯერთა მწყემსვა იოლია.

დღესასწაულამდე ბედკრულ საქართველოში წვიმაც წამოვიდა, რომელმაც 5 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მიზეზი ამ ბედოვლათობისა არაპროფესიონალური, თინეიჯერული მმართველობაა. გულდათუთქულმა პრეზიდენტმა ლამის ცრემლები ღვარა დაზარალებული უბნების მონახულებისას, შემდეგ კი დარდის გასაქარვებლად საკუთარ თვითმფრინავს მოახტა და ფეხბურთში თინეიჯერთა ჩემპიონატისკენ გაქუსლა. იქიდან მილანს მიაკითხა საშოპინგოდ, შემდეგ – აშშ-ს.

**მილანის შოპინგმა ბოლოს და ბოლოს იმოქმედა ჟურნალისტიკაზე და გაჩნდა კითხვები – ვისი ფულით დახტის პრეზიდენტი საზღვარგარეთ? კარგი დროა. 8 წელიწადია ქვეყნის პირველი პირის ამპლუაში დახტის ეს კაცი ქვეყნიდან ქვეყანაში, რაშიც ჩვენი ჯიბიდან ამოღებულ ფულს ხარჯავს და დღეს გაგახსენდათ?**

საქართველოს სახელმწიფო მოხელეთათვის ჩვეულებრივად ითვლება თვის განმავლობაში ორ-ორჯერ მაინც უცხო ქვეყნებში მივლინებით გამგზავრება. სად არ ნახავთ მათ – ახალი ზელანდიიდან დაწყებული, ბრაზილია-ჩილეთი დამთავრებული. ამერიკაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

გერმანიის ბუნდესტაგში სტაჟირების დროს მასპინძლებმა აგვიხსნეს, რომ პარლამენტარის საზღვარგარეთ მივლინება დიდი იშვიათობაა და მას მოწვევის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. „ღარიბი“ გერმანია უფრთხილდება სახელმწიფო ბიუჯეტს, „მდიდარი“ ქართველობა – არა.

გამოგონილ „მივლინებებში“ მგზავრობის ხარჯები, აგრეთვე ძვირადღირებულ კონცერტებსა და უაზრო გამოფენებში დახარჯული ფული საკმარისი იქნებოდა ჩაოხრებული თბილისის უბნების მოწესრიგებისათვის. მარტო პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე დაბეჭდილი ჟურნალის – „თბილისური ამბების“ ყველა თბილისელისთვის ჩამორიგება ეყოფოდა „გაკეთებული“ ბელინსკის ქუჩის აღდგენას, სადაც რა ხანია ჩანჩქერივით მოედინება მიწიდან ამოხეთქილი წყალი და ფეკალი, სადაც ავტომანქანის საბურავების ნასროლი სიპი ქვებისგან ძლივს იცავს თავს გამვლელ-გამომვლელი. ასეთი ქუჩები უხვადაა დედაქალაქში, ისევე, როგორც გაუთავებელი ბაქიაობა წარმატებული საქართველოს შესახებ.

**საქართველომ 26 მაისს აღნიშნა ის დამოუკიდებლობის დღე, რომელიც მას არა აქვს. საქართველოს მოსახლეობა უკვე მერამდენედ, უხასიათოდ ხვდება დიდ დღესასწაულს, დღესასწაულს, რომელიც მას არ ახარებს. და რომ ეს ასეა, ნათლად გამოჩნდა „უმადურის“ მიერ მოწყობილ იმედის მომცემ სახალხო თავყრილობაზე.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

## ინფორმაცია

### ბონდო შალიკიანი შალვა ნათელაშვილს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს



**საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ბონდო შალიკიანი „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს შალვა ნათელაშვილს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს. შალიკიანი ნათელაშვილის მიერ ბიძინა ივანიშვილისადმი გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება.**

შალიკიანის თქმით, ის დღეს უკვე დარწმუნებულია, რომ ნათელაშვილი ხელისუფლებასთან თანამშრომლობს. მისივე განმარტებით, ნათელაშვილმა ივანიშვილის ლანძღვა მას შემდეგ დაიწყო, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერმა „ლეიბორისტებთან“ თანამშრომლობაზე უარი თქვა.

შალიკიანისთვის ასევე მიუღებელია, ნათელაშვილის მხრიდან ბერა ივანიშვილის კრიტიკა. – ბიჭი, რომელიც სანახევროდ, საქართველოს საზღვრებს გარეთ გაიზარდა, თანაც მილიარდერის ოჯახში, ბიზნესით და ფულის კეთებით კი არ ინტერესდება, არამედ ხელოვნებით – ეს დასაფასებელია. ბერა ივანიშვილი კი არ ტირის, არამედ მღერის, რა ვერ გაიგე შალვა, ხალხს უმღერის, სითბოს გასცემს, ის ამ ყველაფერში შრომას დებს. რა მორალური, ქრისტიანული, მამაკაცური უფლება გაქვს, შვილის ტოლი ბიჭი გააკრიტიკო შენი პოლიტიკის გამო და ისიც, სიმღერისთვის. მამას რომ გვერდით უდგას შვილი, ეს არასწორია, თუ რისი თქმა გინდა? შალვა, შენ ჩემს შვილს აქებდი, კარგი აღზრდილიაო. ის ჩემი შვილი, უკვე სამი წელია პოლიტიკური პატიმარია, გაგხსენებია ერთხელ მაინც 25 წლის ბიჭი? – აცხადებს შალიკიანი.

ყოფილი პარლამენტარი მიიჩნევს, რომ „ლეიბორისტების“ ლიდერის მხრიდან ასეთი განცხადებების გაკეთების შემდეგ, ნათელაშვილს მხარს საქართველოში აღარავინ დაუჭერს. ბონდო შალიკიანის განცხადება პარტია „თავისუფალმა საქართველომ“ გაავრცელა.

ინტერპრესი



◉ გვეხმაურებიან: ეგვიპტოლოგიური გამოცდილებით

**დღეისათვის ცნობილია, რომ ეგვიპტური იეროგლიფური, იერატიკული და დემოტიკური დამწერლობა ერთი და იგივე ნიშნების სახეცვლილების შედეგად არის წარმოქმნილი და დაახლოებით ისეთ მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც, მაგალითად, ნაბეჭდი, კალიგრაფიულად და გაკრული ხელით შესრულებული ქართული ტექსტი. რომ კოპტური, რომელიც ბერძნულ ალფაბეტს გამოიყენებდა, ეგვიპტური ენის განვითარების უკანასკნელი საფეხურია. მაგრამ ამის დადგენას ძალიან ბევრი უნიჭიერესი მეცნიერის ძალისხმევა დასჭირდა. ეგვიპტურ დამწერლობასთან და, კერძოდ, იეროგლიფებთან დაკავშირებული ისტორია ძალიან თვალსაჩინო მაგალითია, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს უცნობი ენისადმი არასაკმარისად ფაქიზმა დამოკიდებულებამ.**

მკვდარი ენის თავიდან გაშიფვრა უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული მაშინაც კი, როცა მრავალი წარწერა არსებობს და ცნობილია, თუ რა ენაზეა ისინი დაწერილი. ეგვიპტური იეროგლიფებით შესრულებული უკანასკნელი წარწერა, აღმოჩენილი ეგვიპტის უკიდურეს სამხრეთში, კუნძულ ფილეზე, ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წლით არის დათარიღებული. აქ იყო ისიდას ტაძარი, რომელიც ისეთი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო ეგვიპტურ, არამედ ბერძნულ-რომაულ სამყაროშიც, რომ ის ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც აგრძელებდა ფუნქციონირებას და უამრავ მომლოცველს იზიდავდა. ამ ვითარებამ აიძულა ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე ჩვ. წ.-ით 535 წელს ადმინისტრაციული წესით მოეხდინა მისი ლიკვიდაცია. ამას მოჰყვა ქურუმების დევნა, რომელთაგან ზოგი დააპატიმრეს, გადარჩენილები კი გაიფანტნენ. ამ მოქმედებით მოიშალა უკანასკნელი კერა, სადაც ჯერ კიდევ ფლობდნენ ეგვიპტურ ენას და დამწერლობას. მაგრამ განსხვავებით სხვა ძველი დამწერლობებისაგან, რომლებიც მათი ცივილიზაციების დაღუპვასთან ერთად სრულ დავიწყებას მიეცა და თავიდან იყო აღმოჩენილი, ეგვიპტური იეროგლიფები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა და დასავლურ ცივილიზაციაში მათზე მრავალი მცდარი წარმოდგენა შეიქმნა. ამ წარმოდგენებს დღეს მოიხსენიებენ, როგორც „მითს ეგვიპტური იეროგლიფების შესახებ", რომლის უნებლიე ფუძემდებლები ანტიკური ბერძნები იყვნენ. ამ გარემოებამ კიდევ ერთხელ უნდა დაგვაფიქროს, თუ რა სათუთად უნდა მოეპყრო უცხო დამწერლობას, რადგან ბერძენი ავტორების ეგვიპტეში მოგზაურობისას ეგვიპტური ჯერ კიდევ „ცოცხალი" ენა იყო და ბევრი იყო დამწერლობის მცოდნეც, მაგრამ ბერძნებმა „განსაცვიფრებელი ნახატების" თავიანთი ლოგიკით ახსნა დაიწყეს.

ჰეროდოტე იყო პირველი ანტიკური ავტორი, რომელიც ეგვიპტური დამწერლობით დაინტერესდა. იგი აღნიშნავს, რომ ეგვიპტელებს ორი, „რელიგიური" და „სახალხო" დამწერლობა ჰქონდათ. დიოდორეს მიაჩნდა, რომ ეგვიპტურ იეროგლიფებში აზრი იმ ასოციაციური ან ალეგორიული ალუზიებით გადმოიცემოდა, რომლებიც ამა თუ იმ საგნებთან და ცხოველებთან იყო დაკავშირებული. პლუტარქე წერდა, რომ ეგვიპტური იეროგლიფები ღვთაებრივი იდეების ალეგორიულ გამოხატულებას წარმოადგენს. პლოტინი თვლიდა, რომ ეგვიპტურ იეროგლიფებში ჩაქსოვილია ურთულესი სიმბოლიკა, რომელშიც მხოლოდ რელიგიური ეგზალტაციის დროს შეიძლება გარკვევა.

ეგვიპტური იეროგლიფების კომენტირების ახალი ტალღა აგორდა რენესანსის ეპოქაში, როცა, ანტიკური სამყაროსადმი ცხოველი ინტერესის კვალდაკვალ, დასავლეთის სამყარომ კვლავ მიაქცია ყურადღება საიდუმლო ეგვიპტურ ცივილიზაციას, რომელსაც ასე ხშირად აღწერდნენ ანტიკური ავტორები. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ იეროგლიფების, როგორც ღვთაებრივი სიმბოლოების ახსნის ტრადიცია გაგრძელდა. იტალიური რენესანსის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვიჩინო (1433-1499) ასკვნის, რომ იეროგლიფები ღმერთის მიერ მონიჭებული აღმოჩენა და, შესაბამისად, სიმბოლური დამწერლობის უნიკალური ფორმაა. ეგვიპტური იეროგლიფების ამგვარი ინტერპრეტაციის ყველაზე ხანგრძლივი ტრადიცია გერმანელი იეზუიტის ათანასე კირხერის სახელთან არის დაკავშირებული. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეგვიპტელებმა პირველებმა შეიცნეს უმაღლესი ჭეშმარიტება და შექმნეს სიმბოლური დამწერლობა ამ ჭეშმარიტების გადმოსაცემად. რა თქმა უნდა, უმაღლესი ჭეშმარიტების გამოხატვის სასრულ ფორმას ქრისტიანობა წარმოადგენს, მაგრამ მისი ქრისტიანობამდელი გამოხატვის კულმინაცია სწორედ ეგვიპტურ რელიგიასა და დამწერლობაში უნდა ვეძიოთ.

ეგვიპტური დამწერლობის წაკითხვაში გასაღების როლი ითამაშა „როზეტას ქვამ", რომელიც აღმოაჩინეს 1799 წლის აგვისტოში ნაპოლეონის ჯარების საფორტიფიკაციო სამუშაოების დროს პატარა სოფელ რაშიდ-როზეტასთან, ალექსანდრიიდან 70 კმ. დაშორებით. ამ შავი გრანიტის ფილაზე მოთავსებული იყო წარწერები ბერძნულად და ეგვიპტურად. ეგვიპტური ტექსტი იეროგლიფებით და დემოტიკური დამწერლობით იყო შესრულებული. ქვამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, და თავად ნაპოლეონმა ბრძანა მისი სასწრაფოდ კოპირება და გამოცემა, რის შემდეგ პირველი სახელდახელო ასლი გადაეცა ფრანგულ ეროვნულ ინსტიტუტს. 1801 წ., ინგლისის მიერ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ინგლისმა მოიპოვა უფლება ყველა იმ არტეფაქტზე, ნაპოლეონის ექსპედიციის მიერ რომ იქნა მოძიებული. მათ შორის იყო როზეტას ქვაც, რომელიც ჩაიტანეს ინგლისში 1802 წ., სადაც დღეს ბრიტანეთის მუზეუმშია გამოფენილი.

მეცნიერებმა საფრანგეთსა და ინგლისში ერთდროულად დაიწყეს ქვაზე მუშაობა. სიძნელე წარმოიშვა ბერძნული ტექსტის თარგმანთან დაკავშირებითაც, რადგან ის შესრულებული იყო იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილ პტოლემაიოსების სამეფო კარის ენაზე. ტექსტი გაეგზავნა ევროპის ცნობილ სამეცნიერო საზოგადოებებს,

# ასეთ ცდას მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არა აქვს...

## ისევ ფესტოს დისკოს მცდარი წაკითხვის გამო



და მისი შინაარსი საბოლოოდ დადგინდა. აღმოჩნდა, რომ ქვაზე მოთავსებულია ჩვ.წ.-მდე 196 წ. მემფისში ეგვიპტის ქურუმების კრების მიერ პტოლემაიოს V ეპიფანეს საპატივცემულოდ მიღებული დეკრეტის ტექსტი. ქურუმები მადლიერებას გამოხატავდნენ მეფისადმი იმ პრივილეგიებისათვის, რაც მან ეგვიპტელ ქურუმებს მიანიჭა. შემდგომი კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი იყო კოლოფონი, რადგან ის იუწყებოდა, რომ დეკრეტის ტექსტი უნდა შესრულებული ყო იეროგლიფებით, დემოტიკური დამწერლობით და ბერძნულად, და აღმართულიყო ეგვიპტის ყველა მნიშვნელოვანი ტაძრის ეზოში, რაც ნიშნავდა, რომ როზეტას ქვა შეიცავდა ერთსა და იმავე ტექსტს, შესრულებულს ბერძნულ და ეგვიპტურ ენებზე (ორი სხვადასხვა დამწერლობით). რადგან იმ დროისათვის ჯერ კიდევ გავრცელებული იყო აზრი იეროგლიფების სიმბოლური ბუნების შესახებ, დემოტიკური დამწერლობა კი ალფაბეტური ეგონათ, ეგვიპტური ტექსტის წაკითხვის მცდელობა ბუნებრივად დემოტიკური ტექსტით დაიწყო.

პირველი მკვლევარი, რომელმაც დაიწყო ეგვიპტურ ტექსტზე მუშაობა, იყო იმ დროისათვის ევროპის წამყვანი ორიენტალისტი, ფრანგი მეცნიერი სილვესტრ დე სასი. ის შეეცადა ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული საკუთარი სახელების მოძიებას დემოტიკურ ტექსტში, რომ შემდეგ გამოეყენებინა ამოკითხული ალფაბეტური ნიშნები ცალკეული ეგვიპტური სიტყვების წასაკითხად და კოპტურის დახმარებით დაედგინა მათი მნიშვნელობა. მან დაახლოებით წაიკითხა სახელები „ალექსანდრე" და „პტოლემაიოსი", მაგრამ უფრო შორს ვეღარ წავიდა, რის შემდეგ გადასცა თავისი შრომის შედეგები დანიელ მეცნიერს და დიპლომატს იოჰან დ. აკერბალდს.

აკერბალდმა მოახერხა, დაედგინა ტექსტში მოხსენიებული საკუთარი სახელების უმრავლესობა (ალექსანდრე, არსინოე, ბერენიკა, აიეტი) და დემოტიკური დამწერლობის 29 ნიშანი, რომელთაგან უმეტესობა სწორი გამოდგა. მან ასევე დაადგინა, რომ ბგერა „f", რომელიც კოპტურში მესამე პირის, მხოლობითი რიცხვის, მამრობითი სქესის ნაცვალსახელის აღმნიშვნელი იყო, იმავეს ნიშნავდა დემოტიკურ ტექსტში. ამას გარდა, მან ამოიკითხა რამდენიმე სიტყვა (მაგ. „ტაძარი", „სიყვარული", „სიმრავლე"), რომლებიც ასევე შესაბამისი კოპტური სიტყვების იდენტური აღმოჩნდა. აკერბალდის აღმოჩენა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან მან დაამტკიცა, რომ კოპტური ძველი ეგვიპტელების ენა იყო. მაგრამ მან ვერ მოახერხა უფრო შორს წასვლა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დემოტიკური დამწერლობა მხოლოდ ალფაბეტური ნიშნებისაგან შედგებოდა.

შემდეგი ნაბიჯი როზეტას ქვის წაკითხვაში ეკუთვნის ცნობილ ფიზიკოსს თომას იუნგს. 1814 წლის ზაფხულში მან დაიწყო დემოტიკური და იეროგლიფური წარწერების შესწავლა. მან შეადარა ერთმანეთს როზეტას ქვის დემოტიკური და იეროგლიფური წარწერები ადრე მოძიებულ იერატიკულ პაპირუსებს და მივიდა დასკვნამდე, რომ დემოტიკური დამწერლობა იერატიკული დამწერლობის განვითარების შემდეგ სტადიას წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, იეროგლიფების სწრაფი წერის შედეგად ჩამოყალიბდა. ამგვარად, იუნგმა დაამტკიცა, რომ იეროგლიფური, იერატიკული და დემოტიკური დამწერლობები რეალურად ერთი (იეროგლიფური) დამწერლობის განვითარების სხვადასხვა სტადიას წარმოადგენს. მან ასევე მიუსადაგა ერთმანეთს როზეტას ქვის ბერძნულ და დემოტიკურ წარწერებში მოხსენიებული საკუთარი სახელები და მათგან ერთი („პტოლემაიოსი") ამოიკითხა იეროგლიფურ ტექსტშიც, სადაც ის კარტუშში იყო ჩასმული. ეს იყო პირველი წაკითხული იეროგლიფები, რომლებმაც ცხადყო, რომ საკუთარი სახელი ამ დამწერლობაშიც ყოველი სიმბოლიზმის გარეშე, ალფაბეტური ნიშნებით იყო შედგენილი. მან ასევე დაადგინა იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული რამდენიმე სიტყვა (მაგ. „პტახი", „ღმერთი", „ქურუმი"), მაგრამ მოექცა მცდარი წარმოდგენის ქვეშ, რომ ფონეტიკურად იეროგლიფებით მხოლოდ უცხოურ სახელებს წერდნენ.

შემდეგი და უკვე გადამწყვეტი ნაბიჯი ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს ჟ. ფ.შამპოლიონს. იუნგის მიღწევებიდან მან იცოდა, რომ იეროგლიფური ნიშნები შეიძლებოდა ფონეტიკური ყოფილიყო, და დაიწყო მეფეების სახელების სიების შედგენა. მათი იდენტიფიცირება ადვილად იყო შესაძლებელი, რადგან ისინი კარტუშებში იყო ჩასმული. როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დემოტიკური, იერატიკული და იეროგლიფური ერთი დამწერლობის განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენდა და მათ შორის არ იყო სისტემური განსხვავება, დაიწყო დემოტიკური დამწერლობით შედგენილი სახელების გადაყვანა იერატიკულ, შემდეგ კი იეროგლიფურ დამწერლობაზე. „პტოლემაიოსის" ამგვარი ტრანსფორმირების შემდეგ, მან მოახდინა „კლეოპატრას" იეროგლიფურ დამწერლობაში გადაყვანა. კლეოპატრას დემოტიკური დამწერლობა ცნობილი იყო ე.წ. „კასატის პაპირუსიდან", მაგრამ მას სჭირდებოდა ორიგინალური იეროგლიფური ტექსტი დედოფლის სახელით, რომ თავის სისწორეში დარწმუნებულიყო. ამაში მას დაეხმარა 1815წ. კუნძულ ფილეზე აღმოჩენილი ობელისკი ეგვიპტური წარწერით, რომლის ფუნდამენტზე მოთავსებულ ბერძნულ წარწერაში მოხსენიებული იყვნენ პტოლემაიოსი და კლეოპატრა.

შემდეგი გარღვევა მოხდა 1822წ., როცა შამპოლიონმა ცნობილი აბუ სიმბელის ტაძრის იეროგლიფური წარწერების ასლები მიიღო, სადაც მისი ყურადღება მიიპყრო კარტუშში ჩასმულმა სახელმა, რომელიც შეიცავდა „მზის" ნიშანს და სრულდებოდა უკვე ცნობილი, „ს"-ს აღმნიშვნელი ნიშნით, მათ შორის კი უცნობი ნიშანი იყო გამოწერილი. კოპტურად მზე დაახლოებით ჟღერდა, როგორც „რა", და იმ გენიალური მიხვედრით, რომელიც ჩვეულებრივ მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შედეგია, შამპოლიონმა დაასკვნა, რომ უცნობი ნიშანი დაახლოებით იკითხება, როგორც კოპტური „დაბადების" აღმნიშვნელი სიტყვა („mise"), და რომ მან ეგვიპტური სახელი „რამსესი" ამოიკითხა. მის მიგნებას ამყარებდა ისიც, რომ როზეტას ტექსტში იგივე იეროგლიფი დაახლოებით იმავე კონტექსტში იყო მოთავსებული. ამგვარად, შამპოლიონმა საბოლოოდ დაადგინა, რომ ეგვიპტური იეროგლიფები სიმბოლურ დამწერლობას წარმოადგენდა და ისინი ფონოგრამებისა და იდეოგრამებისაგან შედგებოდა. მისი ძიების შედეგების ოფიციალური გაცხადების თარიღი, 1822 წლის 27 სექტემბერი, დღეს ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების დაბადების თარიღად ითვლება.

მაგრამ შამპოლიონი ბოლომდე დარწმუნებული იყო ეგვიპტური და კოპტური ენების სრულ იდენტურობაში, რამაც ის ბევრი სიტყვის მცდარ წაკითხვამდე მიიყვანა. კოპტური ეგვიპტური ენის განვითარების ბოლო საფეხურია და, როგორც ყველა ენაში, აქაც საქმე გვაქვს ცვლილებებთან, რომლებიც ყველა ენაში საუკუნეების განმავლობაში ხდება. ამას გარდა, მან ვერასოდეს შეიგრძნო განსხვავება ერთ, ორ და სამბგერიან იეროგლიფებს შორის და ყველა ისინი ერთბგერიანი ეგონა. მაგ. „mn", „ms" „mj"და „mr" ორბგერიან ნიშნებს ის ყველას ერთნაირად კითხულობდა, როგორც „m"-ს, რამაც საოცრად გაზარდა ალფაბეტური ნიშნების რიცხვი და შეაჩერა ეგვიპტური ნიშნების წაკითხვა.

შემდეგი ნაბიჯი ეკუთვნის გერმანელ მეცნიერს რიხარდ ლეფსიუსს, რომელმაც მოახდინა ერთ, ორ და სამბგერიანი ნიშნების დიფერენცირება. მანვე დაადგინა, რომ ეგვიპტურ დამწერლობაში, თანამედროვე არაბულის მსგავსად, არ ხდებოდა ხმოვნების გამოვლენა. მის შემდეგ, კიდევ ბევრი მეცნიერის შრომის შედეგად, დღეს შესაძლებელია ყველა ეგვიპტური დამწერლობით შესრულებული ტექსტების წაკითხვა.

ეგვიპტური დამწერლობის ისტორია მას შემდეგ, რაც მისი აღწერა დასავლეთის ცივილიზაციის წარმომადგენლებმა დაიწყეს, ვიდრე მის მეცნიერულ წაკითხვამდე, საოცრად ნათელი მაგალითია, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს მცდელობამ, გავშიფროთ უცნობი დამწერლობა ჩვენ საკუთარ ლოგიკასა და წარმოდგენებზე დაყრდნობით. ბილინგვის არსებობის შემთხვევაშიც კი, საჭიროა მრავალი ტექსტის მონაცემების შეჯერება და გადამოწმება, როგორც ეს ეგვიპტური დამწერლობის წაკითხვამ გვაჩვენა, რადგან, რომ არა მრავალი ტექსტი, მხოლოდ როზეტას ბილინგვური წარწერით დღეს ჩვენი წარმოდგენა ეგვიპტურ ენაზე საკმაოდ ბუნდოვანი იქნებოდა. ამიტომ, წარმოუდგენლად გვეჩვენება მეცნიერულად დასაბუთებული იყოს უცნობ ენაზე შესრულებული უცნობი დამწერლობის წაკითხვა, რომელიც მხოლოდ ერთადერთ არტეფაქტზეა მოძიებული. როგორც გასართობი თავსატეხი, ასეთი წარწერა შეიძლება ნებისმიერ ენაზე იყოს წაკითხული, მაგრამ მეცნიერებასთან ასეთ ცდას არავითარი კავშირი არ შეიძლება რომ ჰქონდეს.

**მანანა ხვედელიძე,**
ეგვიპტოლოგი, პროფესორი

**P. S. ეგვიპტური იეროგლიფების ისტორია ძალიან თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება რომ გაყალბდესო უცხო დამწერლობის აღქმა მაშინაც კი, როცა ეს დამწერლობა ჯერ კიდევ ცოცხალია.**

**ახლახან საინტერესო რამ წავიკითხე ფესტოს დისკოზე, კრეტაზე ირაკლიონის მუზეუმი არაფრით არ იძლევა დისკოს თანამედროვე სხივურ ანალიზზე ზუსტი ასაკის დასადგენად, რადგან სულ უფრო ვრცელდება აზრი, რომ ყალბია სწორედ მისი ერთადერთობის გამო (მართალია, რაღაც მსგავსნიშნებიანი არტეაქტი მოძიებულია ვლადიკავკაზში, მაგრამ ისიც ერთადერთია). ყოფილა სკანდალი, რომელიღაც ცნობილ „ეტრუსკულ" ბრინჯაოს ფიგურასთნ დაკავშირებით, რადგან სხივურ ანალიზს დაუდგენია, რომ სულ 500 წლისაა, და ამის შემდეგ ფესტოს დისკოს აღარ იძლევიან. არის ვარაუდი, რომ დაახლოებით 100 წლის წინათ, როცა ევანსი თხრიდა, დაამზადეს და მოათავსეს გათხრების ადგილას სენსაციის გულისათვის, და ევანსი მართლაც „გაგიჟდა და ჭამა".**

**მ. ხ.**

◉ მკითხველის წინადადება

## პრობლემას მხოლოდ გვირაბი მოხსნის...

საქართველოში ტურიზმის განვითარების შესახებ დაინტერესების გაზრდას შედეგად მოჰყვა რაჭის, საქართველოს ამ ერთ-ერთი ულამაზესი რეგიონით დაინტერესებაც. ტურიზმის განვითარების პარალელურად რაჭით დაინტერესებას აძლიერებს მისი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, პრობლემების მოწესრიგების საჭიროება. ეს პრობლემები კი გამოიხატება რაჭის კურორტებისა და ბუნებრივი სიმდიდრეებისადმი არა სათანადო ყურადღებაში, ახალგაზრდობის დაუსაქმებლობასა და სოციალურ-კულტურული ყოფის საკითხების დაბალ დონეში. ჩამოთვლილი ფაქტორების ფონზე მიმდინარეობს რეგიონის მოსახლეობისგან დაცლის პროცესი, წარმოიქმნება ჩრდილოეთიდან „მოწოლილი" მეზობელი ხალხების მიერ ჩვენი საძოვრების, ტყისა და სხვა ბუნერივ თუ არაბუნებრივ ძვირფასეულობათა მითვისების საშიშროება.

მოკლედ რომ ვთქვათ, რაჭა უნდა აღორძინდეს, იგი უნდა გადავარჩინოთ, მაგრამ როგორ?!

ამისთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა მისი „დაახლოება" ცენტრთან. წერილში მოყვანილი წინადადება ეხება საჩხერიდან (ან ტყიბულიდან) ონის (ან ამბროლაურის) მიმართულების საავტომობილო (შეიძლება სარკინიგზოც, თუ ამის საშუალებას გეოდეზიური ნიშნულები და დასაშვები ქანობები მოგვცემენ) გვირაბის გაყვანას. თანამედროვე ტექნიკის დონემ საგრძნობლად გაამარტივა გვირაბების გაყვანის ტექნოლოგია, თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში ამ სახის მშენებლობის მდიდარი ტრადიცია არსებობს, ჩანაფიქრის რეალიზაციას წინ ვერაფერი დაუდგება.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რას მოგვცემს ცხოვრებაში ამ ღონისძიების განხორციელება: ბევრი ოჯახი მშობლიურ კერას დაუბრუნდება და სოფელს გააცოცხლებს, ბევრს რაჭაში მიტოვებული სახლ-კარის გამოყენებით აგარაკის პრობლემა მოეხსნება, აღდგება და განვითარდება შოვის, უწერისა და სხვა მრავალი ახლად აღმოჩენილი კურორტის ქსელი,მკვეთრად აღორძინდება ტურიზმი (რა თქმა უნდა, საერთაშორისოც). განახლდება და უფრო მაღალ საფეხურზე ავა, ამ საინტერესო კუთხეში, ეროვნული ფართო მოხმარების ნაკეთობათა წარმოება, ტყის ნობათის გამოყენება, კვების ორიგინალურ ტრადიციულ ნაწარმთა დამზადება და პოპულარიზაცია, მინერალური წყლების ჩამოსხმა და მრავალი სხვა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ რაჭველებს რაჭა დაუბრუნდებათ, ხალხი გაიხარებს.

იმედია, გაზეთში მოთავსებული ეს პატარა წერილი, მით უმეტეს, თუ იგი ღია განაცხადად ჩაითვლება, ქვეყნი პრემიერ-მინისტრის ყურადღებას მიიქცევს და სათანადო რეაგირებასაც დაიმსახურებს.

პატივისცემით

რევაზ ტყემალაძე,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი; ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი; საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

# ბელადი

## გვესაუბრება იური ემელიანოვი, რომელმაც უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში გამოაქვეყნა რამდენიმე გამოკვლევა ჩვენს ისტორიაში სტალინის პერიოდის შესახებ

— ხრუშჩოვის დესტალინიზაციის დროსაც, გარდაქმნის პერიოდშიც მოდაში იყო კლიშე: სტალინის როლი ოქტომბრის რევოლუციაშიც და სამოქალაქო ომშიც უმნიშვნელოაო. რამდენად მაღალი იყო სტალინის ავტორიტეტი ლენინის სიცოცხლეში? როგორ აღიქვამდნენ მაშინ მართლაც, მაგალითად, მის ცნობილ ფიცს ლენინის კუბოსთან?

**— სინამდვილეში იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გამოიყენებდა ფსევდონიმ სტალინს, აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად. მაშინ პრაღის კონფერენციაზე მოხდა მენშევიკებისგან ბოლშევიკების საბოლოო გამოყოფა (1912 წ.), და ცენტრალური კომიტეტის წევრი ცხრა კაცი გახდა. სტალინთან ერთად ცენტრალური კომიტეტის წევრი გახდა ზინოვიევი. ცენტრალურ კომიტეტში კამენევი აირჩიეს მხოლოდ 1917 წლის აპრილში. ბუხარინი, რიკოვი და ტროცკი ცენტრალურ კომიტეტში შევიდნენ მხოლოდ 1917 წლის აგვისტოში. 1917 წლის მაისამდე ტროცკი საერთოდ არ ყოფილა ბოლშევიკი, ის იმათ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლასაც კი ეწეოდა.**

**იმის დასადასტურებლად, რომ დაამტკიცონ — სტალინი არანაირ მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა 1917 წლის მოვლენებშიო, ხშირად იხსენებენ ჯონ რიდის წიგნს „ათი დღე, რომლებმაც შეძრეს მსოფლიო", რომელშიც არაფერია ნათქვამი სტალინის შესახებ. როდესაც განმარტავდა სტალინის „შეუმჩნევლობას", მისი ბიოგრაფი ისააკ დოიჩერი, რომელსაც არანაირი სიმპათიებიც კი არ ჰქონია თავისი გმირის მიმართ, წერდა: „იმ დროს, როდესაც რევოლუციის ბრწყინვალე ტრიბუნების მთელი პლეადა, რომელთა მსგავსიც ევროპას არ ეხილა დანტონის დროიდან და რომლებიც რამპების შუქის წინ იწონებდნენ თავს, სტალინი აგრძელებდა თავის მუშაობას კულისების ჩრდილში". უნდა აღინიშნოს, რომ ბოლშევიკების ოქტომბრის გამოსვლების წარმატება დიდად იყო უზრუნველყოფილი იმათი ძალისხმევით, ვინც იყო კულისებს მიღმა და არა ავანსცენაზე.**

**სტალინის დიდ ავტორიტეტზე პარტიაში მოწმობდა ის, რომ ბოლშევიკების VI ყრილობაზე, რომელიც 1917 წლის ივლის-აგვისტოში იატაკქვეშ გაიმართა, იგი გამოვიდა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით. აჯანყების წინ ცენტრალური კომიტეტის 10 ოქტომბრის სხდომაზე შეიქმნა პოლიტიკური ბიურო შვიდი კაცისგან, რომელთა შორისაც იყო სტალინი. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან ერთი თვის შემდეგ — 1917 წლის 29 ნოემბერს ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა ბიურო „ყველაზე მნიშვნელოვანი გადაუდებელი საკითხების გადასაწყვეტად" შემდეგი შემადგენლობით: ლენინი, სტალინი, ტროცკი, სვერდლოვი. ბიუროს არაოფიციალურად „ოთხეულს" უწოდებდნენ. ასეთია ფაქტები.**

**პარტიაში სტალინის მნიშვნელოვან როლზე მეტყველებს ლენინის სიტყვები მისი სახელგანთქმული „წერილიდან ყრილობისადმი", რომელიც მან უკარნახა 1922 წლის დეკემბერში. ლენინმა სტალინსა და ტროცკის თანამედროვე ცენტრალური კომიტეტის ორი გამოჩენილი ბელადი უწოდა, რომელთა შორის ურთიერთობაზეც არის დამოკიდებული პარტიის ამ უმაღლესი ორგანოს სტაბილურობაო.**

**თუმცა, იმ დროს ცენტრალური კომიტეტის ფარგლებს იქით სტალინი არ ყოფილა, თანამედროვე ენით რომ ვილაპარაკოთ, ისეთი „ჩაბმული" და ამიტომ მასობრივ ცნობიერებაში ტროცკის ჩამორჩებოდა.**

— სტალინი და აპარატი — რამდენი წყევლა თქმულა მათი მისამართით. ვინ შექმნა ეს კავშირი და ვისი შემადგენლობით „სტალინი — პარტიული აპარატი"?

**— მართვის ეფექტიანი ცენტრალური აპარატის შექმნა სრულიად აუცილებელი იყო იმ პირობებში! ნგრევა, საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული დაპირისპირების კერები, ეროვნულ-სეპარატისტული ტენდენციების ზრდა, პარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელის მისწრაფება — გადაექციათ თავიანთი რესპუბლიკები და ოლქები საუფლისწულო მამულებად, ხელისუფლებისთვის უპრინციპო ბრძოლა ცენტრსა და ადგილებზე, პარტიელების გარყვნა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) პირობებში, პარტიის შიგნით მზარდი იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა... ეს ყოველივე მოითხოვდა მკაცრი კონტროლის დაწესებას ცენტრიდანულ ტენდენციებზე. არ არის ეჭვი, რომ ასეთი აპარატის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში უზარმაზარი როლი სტალინმა შეასრულა.**

**ის ქმნიდა პარტიული ორგანოების შემოწმების სისტემას — „ზევიდან ქვემომდე". კაგანოვიჩის სიტყვებით, საოლქო ან საგუბერნიო კომიტეტების მდივნებს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში რეგულარულად უნდა მიეწოდებინათ დახურული წერილებით ინფორმაცია თავიანთ ოლქებსა და გუბერნიებში**



1936 წელი. იოსებ სტალინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი, ანასტას მიქოიანი, სერგო ორჯონიკიძე, ივან ლიხაჩოვი ახალ ავტომანქანა „ზის-101"-თან კრემლის ტერიტორიაზე.

**ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ცნობებს „მუშების, გლეხებისა და წითელარმიული მასების" განწყობილებაზე.**

**სტალინი მოითხოვდა ანგარიშგებას, ცდილობდა, რომ მიეღოთ ყოველმხრივი და სრული ინფორმაცია ქვეყანაში საქმის ვითარების თაობაზე. სტალინის მიერ შექმნილი მართვის ცენტრალიზებული სისტემა გულისხმობდა ინფორმაციის სრულ სიმართლეს, რომელიც მომზადებული იყო თავისი საქმის პროფესიონალთა მიერ. როდესაც არჩევანს აკეთებდა საკუთარ შთაბეჭდილებასა და იმ დოკუმენტს შორის, რომელიც პროფესიონალის მიერ იყო მომზადებული, სტალინი უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდა, რითაც ხელქვეითებისადმი აშკარა ნდობას ავლენდა. როდესაც საუბრობდა სტალინის დამოკიდებულების შესახებ მასთან შემოსული დოკუმენტებისადმი, არმიის გენერალი ა.ვ.ხრულიოვი იხსენებდა: „სტალინი ხშირად ხელს აწერდა დოკუმენტებს წაუკითხავად. მაგრამ ეს ხდებოდა მანამდე, სანამ თქვენ რაღაცა ცუდ საქციელში თავს არ გაიმჟღავნებდით. ყველაფერი უზარმაზარ ნდობაზე იყო აგებული. მაგრამ კმაროდა (იქნებ ეს წმინდა ეროვნული ხასიათია) დარწმუნებულიყო, ეს კაცი ცბიერია, მატყუებს, რაღაცას მაიმუნობსო, — ასეთი მუშაკის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო".**

— შეიძლებოდა 20-30-იან წლებში გვერდი აგვევლო პარტიული სტრუქტურების ხელისუფლებისთვის ცხოვრების ყველა სფეროში?

**— პარტიული სტრუქტურების მხრიდან მკაცრი კონტროლის უარყოფითი მხარე იყო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის წვრილმანი მეურვეობა და სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტის ბიუროკრატიული გაჭიანურება. მაგრამ იყო საპასუხისმგებლო ყურადღებაც უზარმაზარი ქვეყნის სხვადასხვა პრობლემებისადმი!**

**თითქოს დღეს სხვა ქვეყანა გვაქვს სხვა აგებულებით, მაგრამ არა ვართ დაცული ბიუროკრატიული გაჭიანურებისგან... საბჭოთა პერიოდში საგანგებო შემთხვევებს წყვეტდნენ პარტიული სტრუქტურები პოლიტბიუროსა და გენერალური მდივნის მითითებათა შესაბამისად. ახლა კი უნდა ელოდო უმაღლესი პირების ნაკლებსავარაუდო ვიზიტებსა და წყალდიდობებს, რომ გააუმჯობესონ უკიდურეს ვითარებაში აღმოჩენილი ხალხის მდგომარეობა.**

**საბჭოთა ისტორიის პირველი წლების მმართველი კადრების ყველა ნაკლოვანების მიუხედავად, ცენტრალიზებული პარტიული აპარატის არსებობა საშუალებას იძლეოდა კონტროლქვეშ გვყოლოდა უზარმაზარი ქვეყნის განვითარების რთული პროცესები. აპარატი აკავებდა ერთიანი სახელმწიფოს დაშლის ტენდენციებს, რომლებიც წარმოიქმნა ჯერ კიდევ კავშირის შექმნის წინააღმდეგობის დროს და შენარჩუნდა შემდგომ წლებშიც.**

**იმ წლების კონკრეტულ ვითარებაში პარტიული სტრუქტურები გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ქვეყნის გარდაქმნის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროგრამების განხორციელებაში.**

— 1937 წელი ნიშნური თარიღი გახდა ჩვენს ისტორიაში, ტრაგიკული თარიღი...მას შემდეგ უკვე 75 წელი გავიდა, გამძაფრებული დავები კი, დაკავშირებული მაშინდელ მოვლენებთან, არ ნელდება. მაინც რა მოხდა 1937 წელს? და რატომ?

**— იმ დროის მწვავე პოლიტიკური კრიზისი დაკავშირებულია იმასთან, რომ პარტიული ელიტის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მწვავედ აღიქვა სტალინის კონსტიტუციური რეფორმები. იმათ განხორციელებული პოლიტიკური რეფორმები აღიქვეს როგორც კაპიტულაცია საშინაო და გარეშე კლასობრივი მტრების წინაშე და დაიწყეს სახელმწიფო გადატრიალების მომზადება. ცნობილი პარტიული ხელმძღვანელები ეიხე, ხრუშჩოვი და სხვები მოითხოვდნენ ოლქებსა და რესპუბლიკებში ჩამოეყალიბებინათ „სამეულები" ამ რეგიონების პარტიული ხელმძღვანელებისგან, აგრეთვე ადგილობრივი პროკურორებისა და შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელებისგან, მიეცათ მათთვის უფლება, გაესახლებინათ ან დაეხვრიტათ ათეულობით ათასი ის პიროვნება, რომლებსაც ისინი გამოაცხადებდნენ საზოგადოებისთვის საშიშად.**

**სწორედ ამან დაუდო საფუძველი მასობრივი რეპრესიების დაწყებას, რომლებსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ეჟოვი. დაპატიმრებულთა თითქმის ნახევარი იყო კულაკი, მაგრამ რეპრესირებულთა დაახლოებით 8 პროცენტი კომუნისტი იყო, რომელთაგანაც ბევრს თვალსაჩინო მდგომარეობა ეკავა ადგილობრივ ხელმძღვანელობაში. ცნობილია, რომ 1937-1938 წლების რეპრესიების დროს 38 უმაღლესი ხელმძღვანელიდან მოსკოვის საქალაქო და საოლქო კომიტეტებში, რომლებსაც ხრუშჩოვი ხელმძღვანელობდა, გადარჩა მხოლოდ 3 კაცი. ხრუშჩოვი მარტო როდი იყო თავის მისწრაფებაში — გაენადგურებინა თავისი მეტოქეები, ვინც მასობრივი რეპ-**

№102. ხუთშაბათი, 31 მაისი, 2012 წელი.

# და ეპოქა

რესიების ნიღბით გამოდიოდა გამოგონილი „კლასობრივი მტრების“ წინაალმდეგ.

1938 წლის იანვარში, როდესაც ცხადი გახდა დანაკარგების მასშტაბები (პარტიის რიცხოვნობა თითქმის განახევრდა), ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოისმინეს მალენკოვის მოხსენება და მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობდა პარტიის წევრების უსაფუძვლო გარიცხვებს. მალე პარტიის ხელმძღვანელობიდან განდევნეს რეპრესიების ზოგიერთი ინიციატორი. ეჟოვი და ბევრი სხვა თავად იქნენ რეპრესირებული.

— მაშინ სსრ კავშირმა უკვე დაიწყო მზადება დიდი ომისთვის. შეიძლებოდა ამ მომზადების განხორციელება „ნეპის“ პირობებში?

**— საბჭოთა ქვეყანაში ახალი უცხოური ინტერვენციის საფრთხეს არ გამორიცხავდნენ სამოქალაქო ომის დამთავრების უმალვე. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევა სსრ კავშირის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გამწვავებისა გახდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის ულტიმატუმური ნოტა, რომელშიც, კერძოდ, იყო მოთხოვნა — სსრ კავშირს უარი ეთქვა სანაპირო წყლების 12-მილიან ზონაზე და გაეწვია საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები ირანიდან და ავღანეთიდან. კერზონის ულტიმატუმზე პასუხად იქცა კამპანია საბჭოთა საჰაერო ფლოტის მშენებლობისთვის სახსრების შეგროვებაზე ...**

**სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის საფრთხეზე საუბარი დაიწყეს 1927 წელს, როდესაც შეწყდა ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან. სსრ კავშირის წინააღმდეგ გაჩაღდა ხმაურიანი კამპანია, რომელიც მოაწყვეს „როიალ დატჩ შელის“ მეპატრონემ სერმა ჰენრი დეტერდინგმა. მან 1920 წლის შემდეგ დაკარგა უმდიდრესი ნავთობსარეწები ბაქოში, და ლესლი ურკვარტმა, რომელიც რევოლუციამდე ურალსა და ციმბირში ფლობდა საწარმოებს. კონფერენციაზე, 1927 წელს რომ მოაწყო დეტერდინგმა, განიხილეს „ჰოფმანის გეგმა“, რაც სსრ კავშირის წინააღმდეგ დასავლეთი ევროპის ქვეყნების არმიების ინტერვენციას ითვალისწინებდა.**

**20-იან წლებში საბჭოთა ხელმძღვანელებს ესმოდათ, რომ ახალი ინტერვენციის შემთხვევაში წითელი არმიის დამარცხება გარდაუვალი ჩანდა. მიზეზი მძიმე მრეწველობის ჩამორჩენა იყო.**

**დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია დაკავშირებული იყო სსრ კავშირის დაცვის აუცილებლობასთან. 1941 წლის თებერვალში სსრ კავშირს რომ არ მიეღწია მოწინავე ქვეყნების დონემდე თავდაცვის მრეწველობის საფუძვლების შექმნაში, ძნელად რომ გაეძლო რამდენიმე თვის შემდეგ ჰიტლერული გერმანიის შემოტევისთვის.**

**განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა შეიარაღების წარმოება ომისწინა ორი წლის განმავლობაში, როდესაც წელიწადში იგი 39 პროცენტით იზრდებოდა.**

— თანამედროვე სახელმძღვანელოებში შეიძლება წაიკითხო პირველი სტალინური ხუთწლედების „გაბუქებული“ სტატისტიკის შესახებ. როგორ შეაფასებდით სტალინური ინდუსტრიალიზაციის ტემპებს, მათ შორის ანალოგიურ პროცესებთან შედარებით, რომლებიც სხვადასხვა დროს ხდებოდა გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში?

**— მართალია, პირველი ხუთწლედის ამოცანები სრულად არ შესრულებულა, მაგრამ, ცხადია, 1928 წლიდან სსრ კავშირის ეკონომიკური განვითარების ტემპს პრეცედენტი არ ჰქონია წინა ისტორიაში. ამ დროს მოხდა ხარისხობრივი ცვლილებები ეკონომიკაში. 1933 წლის დასაწყისში სტალინს ჰქონდა საფუძველი ეთქვა: „ჩვენ არ გვქონდა სატრაქტორო მრეწველობა. ახლა ის ჩვენ გვაქვს. ჩვენ არ გვქონდა საავტომობილო მრეწველობა. ახლა ის ჩვენ გვაქვს. ჩვენ არ გვქონდა დაზგათმშენებლობა. ახლა ის ჩვენ გვაქვს...“ ქვეყნის დაჩქარებული განვითარება გაგრძელდა მეორე ხუთწლედში. 1937 წლის ბოლოსთვის სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქცია 1928 წელთან შედარებით გაიზარდა 4,5-ჯერ. ამერიკის შეერთებულ შტატებს მრეწველობის ასეთი ზრდისთვის თითქმის 40 წელი დასჭირდა. დიდმა ბრიტანეთმა სამრეწველო წარმოება 4,5-ჯერ 60 წლის განმავლობაში გაზარდა.**

**სსრ კავშირი ძლიერ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა, რომელიც კაპიტალისტური სამყაროსგან იყო ეკონომიკურად დამოუკიდებელი და უზრუნველყოფდა თავის სახალხო მეურნეობასა და შეიარაღებულ ძალებს ახალი ტექნიკითა და შეიარაღებით. მრეწველობის ზრდის ტემპით სსრ კავშირმა გაუსწრო მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, სამრეწველო პროდუქციის მოცულობით გავიდა პირველ ადგილზე ევროპაში და მეორე ადგილზე მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. სსრ კავშირის წილმა მსოფლიო წარმოებაში 10 პროცენტი შეადგინა.**

— როგორღა მოხდა პირველ მსოფლიო, სამოქალაქო ომებთან, ემიგრაციასთან დაკავშირებით გამოწვეული დანაკარგების შემდეგ ინჟინრების, პედაგოგების, მაღალკვალიფიციური მუშების არმიის შექმნა? ისეთი არმიისა, როგორიც არ იცოდა წინა პერიოდის რუსეთმა?

**— ასეთი არმიის შექმნა შესაძლებელი გახდა კულტურული რევოლუციის მიზანდასახული განხორციელების წყალობით. უწინარეს ყოვლისა, ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვის უცოდინარი იყო მოსახლეობის უმრავლესობა, 1940 წლისთვის წერა-კითხვის უცოდინრობა პრაქტიკულად აღმოიფხვრა. მოსწავლეთა რაოდენობა ქვეყანაში 1914-15 სასწავლო წლის 10,5 მილიონიდან 1940-41 სასწავლო წლისთვის 47,5 მილიონამდე გაიზარდა. 1913 წელს წიგნებისა და ჟურნალების საბიბლიოთეკო ფონდი 8,9 მილიონს ითვლიდა, 1940 წელს კი უკვე 184,8 მილიონი იყო.**

**ქვეყანაში იქმნებოდა უამრავი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. 1913 წელს იყო 1160 მეცნიერი მუშაკი, 1940 წელს კი 98,3 ათასი. გასაოცრად გაიზარდა მეცნიერების ავტორიტეტი. ქვეყანაში პროპაგანდას უწევდნენ საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს სხვადასხვა დარგში.**

— რა შეიძლება ითქვას სტალინურ კონსტიტუციაზე?

**— გავრცელებული მითის საწინააღმდეგოდ, კონსტიტუციის ავტორი იყო არა ბუხარინი, არამედ მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობდა. ბუხარინი კონსტიტუციის მომზადების 12 ქვეკომიტეტიდან მხოლოდ ერთს ედგა სათავეში. სტალინი კი არა მხოლოდ ხელმძღვანელობდა ყველა ქვეკომიტეტის მუშაობას, არამედ მან პირადად დაწერა ზოგიერთი მუხლი.**

**სსრ კავშირის პირველი კონსტიტუცია ავლენდა უთანასწორობას მოსახლეობის სხვადასხვა კლასებსა და ფენებს შორის. ეს განსაკუთრებით იჩენდა თავს საბჭოეთში არჩევნების წესში. სოფლის მცხოვრებლები 5-ჯერ ნაკლებ დეპუტატებს ირჩევდნენ, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლები. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ იმათ, ვინც „კლასობრივ მტრად“ ან ამ მტრის ლაქიებად ითვლებოდნენ. სტალინი კი აყენებდა წინადადებას, შემოღებულიყო საყოველთაო, თანასწორუფლებიანი, საიდუმლო და პირდაპირი არჩევნები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეს იყო არა კამუფლაჟური კონსტიტუცია, არამედ საბჭოთა საზოგადოებაში ღრმა ცვლილებების საკანონმდებლო გაფორმების სერიოზული მცდელობა.**

— როგორ აღიქვამდნენ საბჭოთა კავშირს მსოფლიოში 30-იან წლებში?

**— ერთი მხრივ, ბევრი მეთვალყურე აღიარებდა სსრ კავშირის უდავო წარმატებებს. ამაზე საუბრობდნენ ისინი, ვინც იყო საბჭოთა ქვეყანაში ან მუშაობდა ხუთწლედების მშენებლობებზე. და მაინც უცხოეთის შეფასებებში ჭარბობდა ანტისაბჭოთა წინასწარშექმნილი ცუდი აზრი. ასეთ აზრთა სხვადასხვაობას ასახავდა სტალინის მიერ 1933 წლის 7 იანვრის სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე გაკეთებული მოხსენება. ზოგიერთ შენიშვნაში ამტკიცებდნენ, რომ ხუთწლიანმა გეგმამ „განიცადა სრული კრახი“, რომ „კოლექტივიზაცია სამარცხვინოდ ჩაიშალა“ და „რუსეთი შიმშილის ზღვარზე მიიყვანა“. სხვა გამოქვეყნებულ მასალებში იყო აღნიშნული: „სსრ კავშირმა მოიგო პირველი ტური, განახორციელა ინდუსტრიალიზაცია უცხოური კაპიტალის დახმარების გარეშე“, „ხუთწლიანი გეგმის მიღწევები არის გასაოცარი მოვლენა“. დასავლეთის დიდ გაზეთებსა და ჟურნალებს საბჭოთა მიღწევები „გაბუქებულად“ მიაჩნდათ.**

**აზრთა ასეთი სხვადასხვაობა შენარჩუნებული იყო დიდი სამამულო ომის პირველ თვეებამდე. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ხელმძღვანელებს არ სჯეროდათ საბჭოთა კავშირის გადაქცევა ძლიერ სახელმწიფოდ.**

— როგორი ქვეყანა დაუტოვა სტალინმა თავის პოლიტიკურ მემკვიდრეებს? რამდენად კონკურენტუნარიანი იყო საბჭოთა კავშირი 50-იანი წლების დასაწყისში?

**— ომის დროს ქვეყნის გაჩანაგების მიუხედავად, ქვეყანამ კვლავ მიაღწია განვითარების სწრაფ ტემპს. 1950 წელს ჩვენს ქვეყანაზე მოდიოდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 20 პროცენტი. შეგახსენებთ, რომ ამჟამად დაახლოებით 4 პროცენტია!**

**ქვეყნის განვითარების სწრაფი ტემპები მრავალი წლის განმავლობაში უნდა შენარჩუნებულიყო. „ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ ჩვენს მრეწველობას შეეძლოს ყოველწლიურად 50 მილიონი ტონა თუჯის, 60 მილიონ ტონამდე ფოლადის, 500 მილიონ ტონამდე ქვანახშირის, 60 მილიონ ტონამდე ნავთობის წარმოება“,— ასეთი იყო სტალინის ხანგრძლივი პერიოდის გეგმა. ორმოცი წლის შემდეგ ეს პროგრამა სასაცილოდ აიგდო პუბლიცისტმა იური კორიაკინმა, რომელმაც იგი ისრების, მშვილდებისა და ხელშუბების წარმოებას შეადარა. ავტორი ამტკიცებდა, რომ 1946 წელს უნდა მოეწესრიგებინათ კომპიუტერების წარმოება. ეს უზრდელური გამასხარავება ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენლის აღტაცებას იწვევდა.**

**უკვე 1953 წელს სსრ კავშირში შეიქმნა მსოფლიოში პირველი ტრანსპორტაბელური წყალბადის ბომბი. ოთხი წლის შემდეგ გაუშვეს მსოფლიოში პირველი დედამიწის თანამგზავრი.**

**„სოციალისტური ქვეყნების ბანაკმა“ კაცობრიობის ერთი მესამედი გააერთიანა. არასოდეს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ჩვენი ქვეყანა არ ყოფილა შემოფარგლული საზღვრების ასეთი ფართო და ძლიერი სარტყელით. ამერიკული ჯარების უუნარობა — მიეღწია გამარჯვებისთვის კორეის ომში — აშკარად მეტყველებდა სოციალისტური ქვეყნების მზარდ სიძლიერესა და მათი თანამშრომლობის სიმკვიდრეზე.**

**მაშინდელი ცხოვრების მრავალი სიძნელის მიუხედავად, მიუხედავად დაშინებებისა, რაც დაკავშირებული იყო ცივ ომთან, საბჭოთა ადამიანები ხედავდნენ, რომ ცხოვრება უმჯობესდებოდა, და ჰქონდათ ხვალინდელი დღის რწმენა.**

— როგორი იყო ოფიციალური და სახალხო დამოკიდებულება სტალინისადმი ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ელცინის დროს? თუ დაემთხვევა ეს შეხედულებები ერთმანეთს, როგორც ეს მოხდა საფრანგეთში ნაპოლეონთან დაკავშირებით?

**— თავზარი, რაც საბჭოთა ხალხმა განიცადა, როდესაც გაიგო ხრუშჩოვის მოხსენების შესახებ პარტიის XX ყრილობის დახურულ სხდომაზე, იყო დიდი. ამავე დროს საქმის მცოდნე ადამიანებმა დაინახეს აშკარა თაღლითობა მოხსენებაში. ის, რომ უკმაყოფილებას დესტალინიზაციის გამო იზიარებდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობაშიც, აჩვენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომამ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმზე ხრუშჩოვის მოხსნის წინ. გაისმოდა საყვედურები: „სტალინს ლანძღავთ უსინდისოდ“. თუმცა ბრეჟნევის დროს სტალინის შესახებ პროპაგანდის ოფიციალური ორგანოები ლაპარაკობდნენ ცოტას და მშრალად, ტაში გაისმოდა კინოთეატრებში, როდესაც სტალინს აჩვენებდნენ გამარჯვების აღლუმის ქრონიკა-ფილმში — „საბჭოთა კავშირის ელჩი“.**

**ჩვენს ქვეყანაში ამჟამინდელ პოლიტიკურ კრიზისს წინ უსწრებდა 2011 წელს დაწყებული დესტალინიზაციის კამპანია. თუმცა იგი დროებით შეჩერებულია, განზრახვის შესახებ — გაიმეორონ იგი — ალაპარაკდა 2012 წელს პრეზიდენტობის ზოგიერთი კანდიდატი.**

**დესტალინიზაციის რეციდივები — ეს არის საზოგადოების ონფექციური დაავადების დროს გამონაყარის მსგავსი დაავადების ნიშანი. მხოლოდ ღრმა შინაგან მანკთაგან გათავისუფლების შემდეგ შეძლებს საზოგადოება მიმართოს მშვიდად და მიუკერძოებლად თავისი ისტორიის ფურცლებს.**

რუბრიკას უძღვება
**არსენი ზამოსტიანოვი**

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

16-22 მაისი, 2012 წ.

## დედამიწის ზურგზე



ამერიკელმა გენერალმა მოახდინა საერთაშორისო სკანდალის პროვოცირება: ისაუბრა აშშ-ის სპეცრაზმის გადასხმის შესახებ ჩრდილოეთ კორეაში

**სპეცნაზის სარდალმა ნილ ტოლიმ საჯაროდ განაცხადა, რომ ვაშინგტონი აგზავნიდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაზვერვის დესანტს ინფორმაციის შესაგროვებლად სამხედრო ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელიც ფხენიანის განკარგულებაში იყო. მზვერავებმა შეძლეს აღმოეჩინათ ოთხი გვირაბი და ოცი აეროდრომი. სარდლობამ თავი იმართლა: ჟურნალისტებმა გენერლის არასწორი ციტირება მოახდინესო.**

* * *

რომნი შეებრძოლება ობამას: ტეხასში მან შეაგროვა ხმები რესპუბლიკელებისგან ერთი კანდიდატის დასასახელებლად



**რესპუბლიკური პარტიის ყრილობა, რომელზეც რომნი ოფიციალურად იქნება დასახელებული ერთიან კანდიდატად, დაიწყება ფლორიდის ქალაქ ტამპაში 27 აგვისტოს.**

* * *

სირიაში კრიზისმა „კრიტიკულ წერტილს“ მიაღწია, განაცხადა ანანმა დამასკოში მოლაპარაკების შემდეგ



**30 მაისს გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები მოისმენენ ინფორმაციას დახურული რეჟიმით გაეროს სირიაში სამეთვალყურეო მისიის საქმიანობის შესახებ. ბრიფინგმა სირიის სოფელ ელ-ჰოულში ჰომსის მახლობლად მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შესაბამისად დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა.**

* * *

აშშ-მა ავღანეთში გაანადგურა ადგილობრივი „ალ-ქაიდას“ მეორე „პირი“

**სახრ ატ-ტაიფი აღმოაჩინეს და მოკლეს „ზუსტი დარტყმით ჰაერიდან“, განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა. მისი სიტყვებით, ოპერაცია განხორციელდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები დარწმუნდნენ, რომ ტერორისტის გვერდით არ არის მშვიდობიანი მოსახლეობა.**



ფეხბურთი

# ჩარჩენილნი



**კი ამბობენ მავანნი, ჩასაფრებულნი უკანასკნელ ათწლეულში ვარდ-ყვავილოვანი ხელისუფლებისა და მის სატელიტთა მიერ დათესილ სიკეთეს ვერ ამჩნევენო, მაგრამ იქ, სადაც სატრაბახო ბევრი არაფერია, როგორ უნდა შენიშნონ?**

ქართული საზოგადოებრიობა დღესაც გაკვირვებული იჩეჩავს მხრებს, როგორ აღმოჩნდა ფეხბურთის ფედერაციის სათავეში დომენტი (ზვიადძ სიჭინავა. სამაგიეროდ, ეს კარგად იციან იქ, „ზევით“, საიდანაც გაიცა კიდეც ამ ორიოდე წლის წინათ „მისტერ იქსის“ ასე მაღლა აფრენის ფირმანი. ჰოდა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნების უყოყმანო აღმსრულებელმა (დედიმისის შვილია და, აბა, ოდნავ მაინც გაბედოს ურჩობაძ თვითმიზნად დაისახა ნოვაციების დანერგვა.

ამაში ცუდი, თავისთავად, არაფერია – სიახლე ხომ მომავალ წარმატებათა საწინდარია, მაგრამ ეს იქ, სადაც მის ხორცშესხმას პროფესიონალები ცდილობენ, მაგრამ ჩვენთან, დილეტანტიზმის საუფლოში, ყველაფერი უკუშედეგით სრულდება.

საილუსტრაციოდ რამდენიმე დღის წინანდელი სამარცხვინო სათასო ფინალი გავიხსენოთ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მსაჯთა ერთობლივი ძალისხმევა ძალოვანთა კალთის ქვეშ შეყუჟული გორის „დილას“ ტრიუმფით დაგვირგვინდა.

ახლა კი, მოდით, წერილის სათაურად გამოტანილი სიტყვა განვმარტოთ: დიახ. ძალაუნებურად წარსულში ჩარჩენილნი ვიგულისხმე, როცა „ზესტაფონისა“ და „გაგრის“ მატჩისშემდგომი დაჯილდოებისას გამოტანილ ბანერზე ამოვიკითხე: 2010-2011 წლების საქართველოს სუპერთასის გამარჯვებული. მიდი და ამის შემდეგ ნუ იფიქრებ, რომ ჩვენში ჯერაც 2010-2011 წლებია. ჰო, მართლა, თვით თამაში „ზესტაფონმა“ მოიგო – 3:1.

**გია პლატონიშვილი**



ევრო – 2012

# სკანდალების ფონზე



**ერთი კვირაც და პოლონეთ-უკრაინის სტადიონებზე 2012 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყება.**

კონტინენტური ფორუმის სტარტს წინ უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოსთან და იტალიურ ფეხბურთში ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებით აგორებული სკანდალები უძღოდა, რასაც ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან ბოიკოტიც კი მოჰყვა, მაგრამ უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი შეუვალი აღმოჩნდა – ტურნირი დათქმულ ვადებში გაიმართება.

რაც შეეხება დანაკლისს, ტრავმებმა ყველაზე მეტად უპირველესი ფავორიტი, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი დააზარალა (პუიოლი, ვილიაძ, თუმცა ვისენტე დელ ბოსკეს „წითელი არმადა“ მაინც უმძლავრესად გამოიყურება.

**ცოტა რამ ისტორიიდან:** განვლილი ცამეტი გათამაშებიდან სამი გერმანიამ მოიგო, ორ-ორი – საფრანგეთმა და ესპანეთმა, ხოლო თითოჯერ ანრი დელონეს სახელობის თასი საბჭოთა კავშირმა, იტალიამ, ჩეხოსლოვაკიამ, ჰოლანდიამ, დანიამ და საბერძნეთმა მოიპოვეს.

**„ა“ ჯგუფი.** პოლონეთი, საბერძნეთი, რუსეთი, ჩეხეთი.
**„ბ“ ჯგუფი.** ჰოლანდია, დანია, გერმანია, პორტუგალია.
**„გ“ ჯგუფი.** ესპანეთი, იტალია, ირლანდია, ხორვატეთი.
**„დ“ ჯგუფი.** უკრაინა, შვედეთი, საფრანგეთი, ინგლისი.
**8 ივნისი.** პოლონეთი – საბერძნეთი. ვარშავა.
რუსეთი – ჩეხეთი. ვროცლავი.
**9 ივნისი.** ჰოლანდია – დანია. ხარკოვი.
გერმანია – პორტუგალია. ლვოვი.
**10 ივნისი.** ესპანეთი – იტალია. გდანსკი.
ირლანდია – ხორვატეთი. პოზნანი.
**11. ივნისი.** საფრანგეთი – ინგლისი. დონეცკი.
უკრაინა – შვედეთი. კიევი.
**12 ივნისი.** საბერძნეთი – ჩეხეთი. ვროცლავი.
პოლონეთი – რუსეთი. ვარშავა.
**13 ივნისი.** დანია – პორტუგალია. ლვოვი.
ჰოლანდია – გერმანია. ხარკოვი.
**14 ივნისი.** იტალია – ხორვატეთი. პოზნანი.
ესპანეთი – ირლანდია. გდანსკი.
**15 ივნისი.** შვედეთი – ინგლისი. კიევი.
უკრაინა – საფრანგეთი. დონეცკი.
**16 ივნისი.** ჩეხეთი – პოლონეთი. ვროცლავი.
საბერძნეთი – რუსეთი. ვარშავა.
**17 ივნისი.** პორტუგალია – ჰოლანდია. ხარკოვი.
დანია – გერმანია. ლვოვი.
**18 ივნისი.** ხორვატეთი – ესპანეთი. გდანსკი.
იტალია – ირლანდია. პოზნანი.
**19. ივნისი.** ინგლისი – უკრაინა. დონეცკი.
შვედეთი – საფრანგეთი. კიევი.




ჯგუფურ რაუნდში თამაშები თბილისის დროით 20 და 22:45 საათზე დაიწყება.

**მეოთხედფინალები.** 21, 22, 23 და 24 ივნისი.
**ნახევარფინალები.** 27 და 28 ივნისი.
**ფინალი.** 1 ივლისი. კიევი.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# აჭარის დედაქალაქი „მსოფლიოს“ მასპინძლობს

**ბათუმში გუშინ საზეიმოდ გაიხსნა რაპიდსა და ბლიცში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატები. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად შეჯიბრების ორგანიზატორია პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია (პრეზიდენტი ემილ სუტოვსკი). ასპარეზობის საპრიზო ფონდია 100.000 დოლარი. რაპიდში (სწრაფ ჭადრაკში: 25 წუთს + 10 წამი თითოეულ სვლაზე) გამარჯვებული 12.000 დოლარს მიიღებს, ხოლო ბლიცში (4 წუთს + 2 წამი) ჩემპიონს 10.000 დოლარი ერგება. ამასთანავე, პირველ ადგილებზე გასული მოჭადრაკეები დიადემებითა და ტრადიციული დაფნის გვირგვინებით დაჯილდოვდებიან.**



მთავარი პრიზების მაძიებლად ბათუმს მართლაც სახელოვანი დიდოსტატები ეწვივნენ: მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი (ხუთგზისძ, მაია ჩიბურდანიძე (ხუთგზისძ, ჟუ ჩენი (ყატარიძ, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთიძ, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთიძ, ევროპის ჩემპიონები – ნატალია ჟუკოვა (უკრაინა, 2000ძ, ანტოანეტა სტეფანოვა (2002ძ, პია კრამლინგი (შვედეთი, 2003, 2010ძ, ალექსანდრა კოსტენიუკი (2004ძ, კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2005, 2008ძ, ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2007, 2009ძ, ვალენტინა გუნინა (2012ძ. მოასპარეზეთა შორის 15 მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულია.

საგულისხმოა ისიც, რომ რეიტინგით მსოფლიოს პირველი ათეულიდან, უნგრელი იუდით პოლგარის, ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონ ჰოუ იფანისა და 2011 წლის ლიტველი ევროპის ჩემპიონ ვიქტორია ჩმილიტეს გარდა, ბათუმში ყველა იბრძოლებს ჯილდოებისთვის. საქართველოს სპორტულ ღირსებას 17 მოჭადრაკე დაიცავს. ესენი არიან: ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, 2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულები – ნანა ძაგნიძე (იგი მსოფლიო რეიტინგით მეექვსეაძ, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო ხუხაშვილი, მაია ლომინეიშვილი, ასევე, საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი ბელა ხოტენაშვილი, ნინო ხურციძე, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, მირანდა მიქაძე, ნინო გურიელი, მაკა ფურცელაძე, მერი არაბიძე, სოფიო გვეტაძე, ინგა ჭარხალაშვილი, ნათია ჯანჯღავა.



ტურნირის რეიტინგფავორიტია სლოვენიელი ანა მუზიჩუკი (2598ძ. მეორე-მესამე ადგილებზე არიან ინდოელი ჰამფი კონერუ და ჩინელი ჟაო სიუ. დღეს, ხვალ და ზეგ რაპიდში 3-3 ტური გაიმართება, 3 ივნისს კი ბოლო ორი პარტია გათამაშდება. ბლიცში გამარჯვებულს 4-5 ივნისს 15 ტური გამოავლენს.

**ლექსო ცინცაძე**

ინტერნეტიდან

## იტალიაში ფეხბურთი აიკრძალება?!



**იტალიელი ფეხბურთის მოყვარულები და არა მხოლოდ ისინი საგონებელში ჩააგდო ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მარიო მონტის განცხადებამ ორიოდე წლით ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის შეწყვეტის შესახებ, რაც გამოწვეულია გარიგებითი მატჩების წინააღმდეგ აგორებული ახალი შეტევით, რის გამოც დაპატიმრებულია ბევრი წამყვანი ფეხბურთელი, მათ შორის იტალიის ნაკრების ორი მოთამაშე – დომენიკო კრიშიტო და ლეონარდო ბონუჩი.**

ჟურნალისტებს გაუჭირდათ იმის გაგება, ხუმრობდა თუ არა პრემიერ-მინისტრი. მან კი თავის პოლონელ კოლეგასთან პრესკონფერენციაზე თქვა: ...ეს პირადად ჩემი წინადადება კი არაა, მით უმეტეს მთავრობის მითითება. არამედ, ეს სურვილია, როგორც ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემლის განცდისა. ჩვენ, იტალიელები, უფრო ხომ არ მოვმწიფდებოდით, თუ ორიოდე წლით გავაუქმებდით ყველა მატჩს?“

ასეთი განცხადება იტალიის პრემიერ-მინისტრისთვის იშვიათი არაა. ადრე ის არ შეუშინდა, უარი ეთქვა 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძლად რომის კანდიდატურის წამოყენებაზე, მაშინაც იტალიელების „უმწიფრობა“ მოიმიზეზა.

## არ გაშიშვლდებიან!

**ბადმინტონის საერთაშორისო ფედერაცია ამთავრებს კამპანიას ამ ოლიმპიური სახეობის ქალთა მატჩებზე მაყურებელთა რაოდენობის გასაზრდელად მოთამაშეთა მინი-ქვედატანებში გამოწყობის საშუალებით.**

ამის შესახებ გამოაცხადეს გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატზე ჩინურ ქალაქ უხონში.

მთელი შარშანდელი წელიწადი ფედერაცია ცდილობდა, მოთამაშე ქალები მხოლოდ ქვედატანებით გამოსულიყვნენ, მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ ჩინეთი, ინდონეზია, ინდოეთი, მალაიზია და ზოგი სხვა ქვეყანა.

2012 წლის თამაშების დაწყებამდე ორი თვით ადრე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა პაისან რანგსიკიტპომ განაცხადა, რომ ამ საკითხს უკვე აღარ განიხილავენ. „დაე სპორტსმენი ქალები გამოვიდნენ შორტებით, თუმცა ჩვენ გვინდა, რომ ქალებიცა და კაცებიც კორტებზე სწორად იცვამდნენ, პროფესიულად უდგებოდნენ თავიანთ გარეგნობას“, – უთქვამს ამ ჩინოვნიკს.

ასეთივე გაუგებრობა მოხდა ქალთა პლაჟის ფრენბურთშიც, სადაც მოთამაშეებს აიძულებდნენ ბიკინებით თამაში.



## ეკონომიკური განვითარება

# ორი დაჩიავებული „ლოკომოტივის“ იმედად



**ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერონიკა ქობალიამ საკმაოდ ორიგინალური განცხადება გააკეთა — საქართველომ რუსეთს მადლობა უნდა გადაუხადოსო ქართული ღვინისთვის თავისი შიდა ბაზრის დახურვის გამო, რაც, მისი აზრით, დადებითად აისახა ჩვენი ღვინის ხარისხზე, რამაც მას ევროპის ბაზრებისკენ გაუხსნა გზა და შარშან ექსპორტი 22 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნულის სიკეთე, ქალბატონ ქობალიას თქმით, ისიცაა, რომ ევროპის ბაზრებისგან განსხვავებით, რუსეთის ბაზარი ნაკლებად პროგნოზირებადია, თუმცა კი არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ ევროპის ბაზრების მაღალხარისხიანი პროდუქციით გაჯერებულობის პირობებში სამამულო ღვინისთვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სეგმენტის დაკავება გარდა დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთისა, დიდ ხარჯთანაცაა დაკავშირებული.**

თუ რას ნიშნავს 22 პროცენტი კონკრეტულად, ამის თაობაზე ინფორმაცია ფართო საზოგადოებას ნაკლებად აქვს, ამიტომ რა ოდენობაზეა ლაპარაკი და რა შემოსავალზე, უცნობია. ამდენად, ციფრი „22“, რომელზეც მინისტრის განცხადებაში მთავარი აქცენტი იყო დასმული, ბევრი არაფრის მთქმელია.

ლაპარაკი ამ თემით იმიტომ დავიწყე, რომ თუმცა ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მთავრობაში აცხადებდნენ, რომ ეროვნული სოფლის მეურნეობა (რომლის ერთ-ერთი წამყვანი დარგი სწორედ მეღვინეობაა) არ არის ის სფერო, სადაც მნიშვნელოვანი კაპიტალის დაბანდებას აპირებდნენ, მერე მიდგომა შეცვალეს, რისი მიზეზი, როგორც ჩანს, ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად ტურიზმის შერჩევა გახდა, რომელიც სათანადო ინფრასტრუქტურასთან ერთად გამართული სოფლის მეურნეობის გარეშე ვერაფერი ეკონომიკური პანაცეა გახდება.

ამჯერად ტურიზმის განვითარების პერსპექტივების განხილვა განზე გადავდოთ და კონკრეტულად **სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალზე ვილაპარაკოთ, რომელშიც ქვეყანაში დასაქმებულთა თითქმის ნახევარი მუშაობს, რომელთაგან მესამედი დღეში... ლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებს (?!). ამასთან, სავალალო გარემოება ისიცაა, რომ სოფლის მეურნეობის წილი ქეყანაში გამოშვებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობაში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 7 პროცენტს ოდნავ აჭარბებს. მიუხედავად ოფიციალურად გაკეთებული განცხადებებისა, რომელთა მიხედვით ბოლო წლებში სოფლის მეურნეობის სექტორი 35 პროცენტითაა გაზრდილი (რაც, ისევე, როგორც ევროპაში 22 პროცენტით გაზრდილი ღვინის ექსპორტის მოცულობასავით ბევრი არაფრის მთქმელი ციფრია), საექსპერტო შეფასებებით, სოფლის მეურნეობა მშპ-ს ზრდის შესაბამისადაც არ იმატებს.**

საბაზრო ეკონომიკის მიდგომებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარების მამოძრავებელი ფინანსური ძალა კერძო ინვესტიციები უნდა იყოს. სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს წინასწარი მონაცემებით (**დაზუსტებული ცნობა აგვისტოში გამოქვეყნდება — რედ.ძ, 2011 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი ოდენობიდან (981 მილიონი დოლარი, რაც 20 პროცენტით მეტია 2010 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელზე), სოფლის მეურნეობას მხოლოდ 12,6 მილიონი დოლარი „შეხვდა“**. რადგან სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ეკონომიკური განვითარების მთავრობის მიერ დასახული პროგრამის ქვაკუთხედია, აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ტურიზმისთვის უმნიშვნელოვანეს სექტორში — **სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში (ასევე თევზჭერაში) პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 13,9 მილიონი დოლარი შეადგინა,** რაც ძალიან ცოტაა, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ უცხოელ სტუმართათვის ქვეყნის მიმზიდველობის ერთ-ერთი მთავარი პირობაა მსოფლიოში სახელგანთქმულ საკურორტო ადგილთა დაჩრდილვა.

თუმცა უფრო საგანგაშო, ჩვენი აზრით, ისაა, რომ სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების მხრივ დიდ ინტერესს (ჩამოყალიბებული უძნო ტრადიციით!ძ საქართველოში კერძო სექტორი არ იჩენს. ამის დასტური თუნდაც შარშანდელი მონაცემებია, რომელთა მიხედვით **2011 წელს სოფლის მეურნეობის დარგებზე მხოლოდ 57 მილიონი ლარის ოდენობის კრედიტები გაიცა, ხოლო ტურიზმზე — კიდევ უფრო ნაკლები, 54 მილიონი ლარი. მოყვანილი ციფრების უმნიშვნელობის საილუსტრაციოდ ვიტყვით, რომ შარშან საქართველოში მოღვაწე 19 კომერციულმა ბანკმა მთლიანად 7,2 მილიარდი ლარის ოდენობის სესხები გასცა. მარტივი გამოანგარიშებით დავინახავთ, რომ კრედიტების მასაში სოფლის მეურნეობაზე და რესტორნებისა და სასტუმროებისთვის გაცემული თანხების მოცულობა ერთ პროცენტსაც „ვერ ქაჩავს“!** არადა ეს მაშინ, როცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტურიზმსაც და სოფლის მეურნეობასაც ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში ლოკომოტივების როლი აკისრიათ. სოფლის მეურნეობის დაკრედიტებას, მაღალი რისკების გამო, კომერციული ბანკები რომ გაურბიან, ეს არახალი ამბავია.

ამიტომ, თუკი სახელმწიფო მის განვითარებას აპირებს, მაგრამ თავად სახსრებს არ აბანდებს, ის მაინც უნდა შეძლოს, რომ სოფლის მეურნეობაში მოღვაწე სუბიექტების მიერ კომპანიების კრედიტები მაინც დააზღვიოს, გარანტიად დაუდგეს, რაც დარგში კაპიტალის მოზიდვის მძლავრი სტიმული იქნება, მაგრამ ამის გაკეთებას, როგორც მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, ჯერჯერობით არავინ აპირებს. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადგილობრივი თუ უცხოური ფინანსების მოზიდვის სიძნელის პირობებში, ქვეყნის მთავრობა მაინც განაგრძობს სოფლის მეურნეობაში წარუმატებელი პროექტების (მაგალითად, ჰიბრიდული სიმინდის პროგრამისძ სუბსიდირებას.

საქართველოს მხარეებში ექვსი მექანიზებული ცენტრის შექმნის პირობებში, რაც წლის დამლევამდე უნდა განხორციელდეს და რომლებსაც „მოსავლიანობის ცენტრები“ ეწოდება, სადაც ყველა მიწათმოქმედს, მექანიზატორს კვალიფიცირებული კონსულტაციისა და დახმარების, სპეციალურ ლაბორატორიებში წყლის, ნიადაგისა და მცენარეთა ანალიზის ჩატარების, აუცილებელი გრძელ და მოკლევადიანი ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზებისა და სხვ. სერვისების მიღების შესაძლებლობა ექნება, ექსპერტები გლეხური მეურნეობების გამსხვილებაზე ლაპარაკობენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, **პატარ-პატარა, დაქუცმაცებულ მეურნეობებში არც ახალი ტექნიკის სრულფასოვნად გამოყენებაა შესაძლებელი, არც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რის გარეშე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია.**

მაგრამ საქმე ისაა, რომ მსხვილი მეურნეობების (კოოპერატივების, ამხანაგობებისძ ასე ერთი ხელის დაკვრით შექმნა არ ხდება, ამას დროს სჭირდება, რომელიც ქვეყანას, სამწუხაროდ, თითქმის არა აქვს, რადგან წინსვლის გარეშე ისედაც უმძიმესი სოციალური ფონი კიდევ უფრო მეტად დამძიმდება, რამაც შესაძლოა კოლაფსი გამოიწვიოს. ამასთან, გამსხვილებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ტექნიკის ჯეროვნად გამოყენებას სახსრები სჭირდება, ურომლისოდაც ყოველივე ამის განხორციელება, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია. კაპიტალის მოზიდვა კი დარგში, უკვე ნახსენები რისკებისა და გრძელვადიანობის გამო, ძალიან ჭირს. მოკლედ, ვითარება მოწუსხულ წრეზე ტრიალს ჰგავს, რომლიდან თავის დაღწევაზე, ვფიქრობთ, მთავრობამ დიდი დელიკატობითა და ტაქტიანად უნდა იზრუნოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ხსოვნა

# მიხეილ მგელაძე



ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ქართველ მშენებელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი **მიხეილ ანტონის ძე მგელაძე.**

ბატონი მიხეილი განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთა მოწოდება იყო მიმდინარე მოვლენების შუაგულში ყოფნა და გახლდათ მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო საკუთარ ხალხს და სამშობლოს.

ბატონმა მიხეილმა 1942 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და ინსტიტუტის დამთავრებიდან, იმ მძიმე წლებში, 1947 წლამდე იშრომა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეიარაღების კომისარიატის სამხედრო დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე, სადაც გაიარა გზა რიგითი მშენებლიდან უმსხვილესი სამშენებლო უბნის უფროსამდე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სისტემაში, — 1947-60 წ.წ. სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად, 1960-72 წ.წ. ტექნოლოგიური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, 1972-75 წ.წ. თბილისის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორად.

შემდგომში, 1975-85 წლებში ბატონი მიხეილი მოღვაწეობს საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროში რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილედ.

1985-93 წლებში ბატონი მიხეილი საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს აპარატში, შემდგომში აგრომშენის კონცერნის სამმართველოს უფროსია.

1993 წლიდან იგი არის სააქციო საზოგადოება ბიზნესცენტრ „სოფლმშენის“ საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

დიდია ბატონი მიხეილის დამსახურება რესპუბლიკაში საშენ მასალათა მრეწველობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადაყვანაში და არასამთამადნო მასალების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

ბატონმა მიხეილმა თავის მეუღლესთან ერთად შექმნა დიდი და ლამაზი ქართული ოჯახი. იგი იყო არაჩვეულებრივი მამა, საყვარელი ბაბუა და დიდი პაპა.

წავიდა ჩვენგან თავის ხალხსა და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ მისი სამშობლო ბედნიერი და აყვავებული იქნება.

ღმერთმა აუხდინოს!

მსუბუქი იყოს თქვენთვის, ბატონო მიხეილ, საყვარელი ქართული მიწა.

სააქციო საზოგადოება „ბიზნესცენტრ „სოფლმშენის“ კოლექტივი



**საზოგადოება „რუსთაველების“ სახელით, მისი საპატიო თავმჯდომარე ანზორ შონია იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდებული პიროვნება, საპატიო რუსთაველი, სამაგალითო დედა**

**ნანი ბართაია-რეხვიაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და ნათესაობას. პანაშვიდი 31 V, 1 VI, 16 სთ. დაკრძალვა 2 VI, 13 სთ. მისამართი: ქ. რუსთავი, კოსტავას ქუჩა № 13/26.**

---

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლანჩხუთის ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარე, ამაგდარი ვეტერანი**

**გივი (გიგლა) ქანთარია**

**და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.**

## ინფორმაცია



### შავ-თეთრი „ჯარისკაცის მამა“ გაფერადდება

**მაყურებელი** მალე ქართული მხატვრული ფილმის „ჯარისკაცის მამის“ გაფერადებულ ვარიანტს იხილავს.

ფილმზე ამერიკული კომპანია მუშაობს.

ფილმის რეჟისორის რეზო ჩხეიძის განმარტებით, ფილმის გაფერადებაზე ამერიკულ კომპანიასთან მოლაპარაკება სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

— თავდაპირველად არ ვთანხმდებოდი, რადგან საბჭოთა ეპოქის დროინდელი გაფერადებული ფილმები რომ მაჩვენეს, კარგი შთაბეჭდილება არ დატოვა. შემდეგ თვითონ ამ ფილმიდან მაჩვენეს რამდენიმე ფრაგმენტი, მომეწონა და დავთანხმდი, — აცხადებს რეჟისორი.

მისივე განმარტებით, ამერიკულ კომპანიას სტუდია ინდოეთში — ბოლივუდში აქვს და სამუშაოებსაც იქ ასრულებს, თუმცა მოლაპარაკებები მოსკოვსა და თბილისს შორის მიმდინარეობს.

ინტერპრესნიუსი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

სულიერება



# მამადავითობა თბილისში

**31 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დავით გარეჯელს, რომელიც იოანე ზედაზნელის ნათესავი იყო, ასევე გუშინ დიდი გარეჯობა აღინიშნა საქართველოს მონასტრებსა და ტაძრებში.**

...ღირსმა დავითმა გარეჯელმა მოღვაწეობა ჯერ თბილისში დაიწყო. ის ბერ ლუკიანესთან ერთად თბილისის დასავლეთით, მთის ფერდობზე, გამოქვაბულში დასახლდა და იქვე პატარა სამლოცველო მოაწყო. ბერები მხოლოდ მთის მცენარეებით იკვებებოდნენ და დღეებს ლოცვაში ატარებდნენ.

წმინდა მამებთან უამრავი ხალხი მიდიოდა აღსარებისთვის. მამა დავითი უსმენდა მათ და სინანულისა და შენდობისაკენ მოუწოდებდა. ხუთშაბათობით კი ქალაქში ჩადიოდა, ქადაგებით ამხნევებდა ხალხს და რწმენის განმტკიცებაში ეხმარებოდა.

მამა დავითის ლოცვით გამოქვაბულის ახლოს სასწაულმოქმედმა წყალმა ამოხეთქა, ამ წყაროს წყალობით მრავალი მართლმორწმუნე განიკურნა უშვილობისგან.

იმ დროს თბილისი სპარსელებს ეკავათ. მოგვები ხედავდნენ, რომ მამა დავითი უფრო და უფრო დიდ სიყვარულს იხვეჭდა ხალხში და ყოველნაირად ცდილობდნენ, შეებღალათ მისი სახელი. ბოლოს ერთ მეძავთან მრუშობა დასწამეს. უფლის შეწევნით მამა დავითმა ამხილა ცილისმწამებლები. აღშფოთებულმა ხალხმა ცბიერი დედაკაცი ქვებით ჩაქოლა. ღირსმა დავითმა ვერ შეძლო მათი შეჩერება და ამ ამბის შემდეგ გულგატეხილმა დატოვა ქალაქი. მან ხალხისგან მოშორებით, გარეჯის უდაბნოში ისურვა დამკვიდრება.

მთაწმინდაზე, მამა დავითის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა-ლოცვას შეასრულებენ მღვდელ-მსახურნი. მრევლიც განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს ტაძრის დღესასწაულს.

მინაწერი: დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი „მადლის ქვა" სიონის საკათედრო ტაძარში ინახება.

**გიული ლიპარტია**

ძველი დიდება

# კვლავ „საბბატოს გზით"?




**„ბითლზების" მოყვარულები ბოლო დროს ერთგვარ შოკში იმყოფებიან, რომელშიც ისინი ლეგენდარული პოლ მაკარტნის შვილის ჭეშმარიტად „ნაპოლეონურმა გეგმამ" ჩააგდო, რომლის თანახმად იგი... მსოფლიო როკ-მუსიკის ისტორიაში ყველაზე ცნობილი ჯგუფის აღდგენას გეგმავს!**

მაკარტნი-უმცროსის ამ იდეას დიდ ბრიტანეთში ამჟამად ცხოველად განიხილავენ, რისი მიზეზი, უწინარესად, სენსაციურობაა: დიდი მომღერლის შვილს გადაწყვეტილი აქვს „ბითლზ-2"-ის შექმნა!

— ვიმედოვნებ, რომ შევძლებთ მამების დიდების დაჩრდილვას. ყოველ შემთხვევაში მათ ტოლს არ დავუდებთ, — ასე განუცხადა 34 წლის ჯეიმს მაკარტნიმ ჟურნალისტებს, რომლებსაც უმალ უამრავი კითხვა დაებადათ: შეძლებს კი მაკარტნის ვაჟი ამ ტვირთის აწევას? რას ფიქრობს ამის თაობაზე თავად პოლი? ხომ არ დააკნინებენ ახალი „ბითლზები" ლეგენდარულ ძველ ანსამბლს?..

ჯეიმს მაკარტნი 19 წლისა იყო, როცა დედამისს, ლინდას საშინელი დიაგნოზი — მკერდის კიბო დაუსვეს. იმხანად იგი კოლეჯში ხელოვნებას სწავლობდა. გულის გადასაყოლებლად მან გიტარაზე დაკვრა დაიწყო და 1998 წელს დედასთან ერთად ოპტიმისტური სახელწოდებით — „სინათლე შიგნიდან მოდის" ფირფიტა ჩაწერა. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა — ერთ თვეში ლინდა გარდაიცვალა. მას შემდეგ მამა და შვილი დიდი ხნის მანძილზე ერთ ოთახში ცხოვრობდნენ.

ამბობენ, რომ ხასიათით ჯეიმსი დედას ჰგავს, რომლის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო მეტად მორიდებული და საკუთარ თავში ნაკლებად დაჯერებული გახდა — მას ხალხის წინაშე გამოსვლა უჭირდა და წონაშიც საგრძნობლად მოიმატა. მაგრამ ბოლოს მისმა ნიჭმა თავისი გაიტანა და ჯეიმსმაც ყველა სიძნელეს სძლია.

დანარჩენი „ბითლზების" შვილებიც მუსიკისგან „შორს არ არიან", მაგრამ „ბითლზ-2" ანსამბლის შექმნა ძალიან სერიოზული პროექტია. ჯონ ლენონის 34 წლის ვაჟიშვილი შონი ბავშვობიდან დედის, იოკო ონოს მუსიკის ჩაწერებში მონაწილეობდა, 2001 წლიდან მოყოლებული კი სოლო კონცერტებით გამოდის. იგი ყველაფრით — თმის ვარცხნილობითაც, ჩაცმულობითაც მამას ბაძავს.

— თუკი ჩვენ გავერთიანდებით, მაშინ ყველას მამასაც გავახსენებთ. იქნებ იმის გაკეთებაც კი შევძლოთ, რის გაკეთებაც მან ვერ მოასწრო, — ამბობს შონი.



ჯორჯ ჰარისონის შვილი დჰანიც წარმატებული მუსიკოსია, მას საკუთარი ჯგუფიც კი ჰყავს. მან ისიც კი მოახერხა, რომ მამის ბოლო დაუსრულებელი ალბომის ბოლომდე ჩაწერა შეძლო.

— მინი-„ბითლზი"— ეს საუცხოო ამბავი იქნებოდა! — ასეთია მისი რეაქცია.

ამჟამად კი ეს სამეული ზაკის, მეოთხე „ბითლის", რინგო სტარის შვილის დაყოლიებას ცდილობს, რომელიც მამასავით დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავს.

— მამების დონეს ვერასდროს გავქაჩავთ, ჩვენც გავმასხარავდებით და მათაც თავს მოვჭრით, — შიშობს ზაკი.

— მართალია ზაკი ჯერჯერობით ვერ ავიყოლიეთ, მაგრამ თადარიგში კიდევ მისი ძმა, ჯეისონი გვყავს, რომელიც ასევე დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავს და ძმასავით ჯიუტი არ არის. ბოლოს და ბოლოს სამნიც დავუკრავთ.

ამასობაში კი „ბითლზ-2"-ს შეიძლება კონკურენტი გაუჩნდეს: ცნობილი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემის მეუღლე, თავის დროზე სახელგანთქმული ანსამბლის „სპაის გერლზის" წევრი ვიქტორია ამბობს, რომ მისი სამი ვაჟიშვილი გამუდმებით მღერის ლივერპულელი ოთხეულის ჰიტს „Here Comes The Sun"-ს. უფროსი ბრუკლინი გიტარაზე უკრავს, რომეო — დასარტყამ ინსტრუმენტებზე, უმცროსი კრუზი კი ცეკვავს. „იქნებ ესენიც „ბითლზები" გახდნენ!" — იცინის ვიქტორია.

— ისე კი პოლ მაკარტნი და თავად ჯონ ლენონიც თავის დროზე ფიქრობდნენ სცენაზე დაბრუნებას, — ამბობს მუსიკის კრიტიკოსი ბრაიან ეიჯი. — მაკარტნი ახლაც ამბობს, რომ ჯგუფის დაშლის გამო გული წყდება. მას მიაჩნია, რომ „ბითლზის" ყველა წევრი დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ისინი კვლავ შეერთდებოდნენ. მაშ, რატომ არ უნდა გააკეთონ ეს მათ შვილებმა?

**დალი ხუნდაძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

კადრი




სოციალურ ქსელებში გავრცელდა ფოტო, რომელზეც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის ოფისია აღბეჭდილი.

ანეკდოტები

— **ჩემმა** ფისუნიამ პირველმა გაიგო, რომ ხელფასი მივიღე.
— ეს როგორ?
— თვითონ ვუთხარი.

* * *

**ყველა** ადამიანს შეუძლია ბედნიერების მოტანა. ზოგიერთებს — თავიანთი სტუმრობით, უმრავლესობას კი — მოუსვლელობით.



**ქარის** ძლიერმა შემობერვამ, რომელმაც პირველ პაემანზე მისულ გოგოს ქვედა კაბა აუფრიალა, იგი ავტომატურად გადაიყვანა მეხუთე პაემნის რეჟიმში.

* * *

**ბიჭმა**, რომელიც ცუდად სწავლობდა, სკოლა წითელი ტაკუნებით დაამთავრა.

* * *

— **როდესაც** რაიმეს განვიცდი, მჟაველის ჭამა მინდება, — ეუბნება დაშა საყვარელს.
— როდესაც შენ მჟავეული გინდება, მე განცდები მეწყება...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24